

რაჭაველები

№ 6 (80) 1.06.2016 - 1.07.2016 ფასი: 2 ლარი ყოველთვიური გამოცემა

4



თამაზ აბანიშვილი
კახუკად
განვლილი უბილი
ათეული წელი

მუნიშინ
რეზანიძე

21

...რა უფერულია
სიკვდილი
ლოზინი

24



**სიკეთის
უმჯობესი**
ბოსტონი 70
ბოგოლასკა

რაჭაში დაგზავილი რკინის ნაწარმის შესახებ
აღებ-მოწყობა დაწი

7

28



კეთილმოსავი
კახის, მარ
გაგაუელიშვილის
გზა ხათა
სასუფევისკენ

14



უკველესი
რეგენა
წარმოდგენები
რაჭულ
უმჯობესი

არსენ ლოგუანიძე



30

დაკარგულთ
დაბრუნება

წიგნის „დიდება უნეს სავაეს.“
თავურ!“ სწავლო განხილვა

ISSN 1512-130X



9 771512 150008

აყვანასუნური ვახუცყური

გულიყო გარია-რიკვილაძისა



გითბგთმის თუმი დაიმადა და გაჯათესულგი ჩაესუნა მზე, შემთბგთმისა, მზე მისემ ლამაზი, თაუადური ზნი-ჩუეულუმისა და გარეგნული იერ-სასისა, მზე მისიუ მანცია მისსმული, მუქთამთბქუვი და ნაწიოი ქალმაცმნის გულიოთ შებია-ჩიუვილამისა.

სამწესართა და მნულად დასაკერძული ესდერნ დიდი სილამაზე მიწის სათაანით იყოს დათარული, მაგრამ რას უზამთ, იცყვიან სადმე აქვს ჩუენებ შიუბსათ...

ქალმაცმნი გულიოთ მუხან მასკუარბანის სიყყვიმის აბ იყოს, იყო „ქალი დედა, ქალი სალამო, ქალი წვიმა“, ქალი სიღმესლის დაუმბრეცილი წყარბ, (შუენების) საჩუქარი, ელსკეთის მიწაზე დათბთიანრძული დედალი სისამი, ყელმბრეძული სიუეულადით ბამ უცქერდა სამყარბს და თაუის თჯასს, თაუის დიდების უარბსლმეგს.

გულიოთ შებია-ჩიუვილამი დაიმადა 1945 წლის 25 ნოემბერს, ქალაქ სასუბში, ინცილიგენცის თჯასში. სკოლის დამთარბების შიმდეგ სწაულა განაგბბი თმილისის სამიდილინთ ინსციფრუცში ბიგიუნის ეპიდემიოლოგიის პბბთუპათოლოგიის სპეცილომით. ასეე დამთარბებული აქვს სამიდილინთ უსმეცლოლოგიის სბული უქბსი. ქლუმის მანბილზე მუქამბდა სულსან-სამას სასკოლმის პედაგოგიურ ინსციფრუცში და საქარბთუელს სკოლბუნების მუქამთა სასლში ბიგიუნის პედაგოგად. პბბთილადცივისა და აღდგენითი თერბპის ცენცრში ექიმ-ეპიდემიოლოგად. სიღმესლის მლოთ ქლუმში უსმეცივისა და მასაქის შემსწაულელი უქბსების სკლმბბუნელი იყო.

ბყავს შიულუ შიუბ-მისეილ ჩიუვილამი, ბბი შიული და სუთი შიულიშიული.

მასობის აკვის თუბილან ები

ნიხეი თოთხაძე
დამახა მეტხეველი
თამაზ გიგოლაშვილი

ნათედა გავამედი
გუხამ გოციხიძე
ნანა ბეხაძე

„გაჭყელების“ გეგამბინა

სარჩევი



ნმინდა ნინოს საქართველოში
შემოსვლა 2



კაცურად განვლილი შვიდი
ათეული წელი — თამაზ
აზანიშვილი 4



მიხეილ რეხვიაშვილი

რაჭაში დამზადებული რკინის
ნანარმის შესახებ..... 7

ექვთიმე თაყაიშვილი



არქეოლოგიური მოგზაურობა
რაჭაში 8

მიხეილ რეხვიაშვილი



XVI საუკუნის სოციალური
მდგომარეობა დასავლეთ
საქართველოში 11

ნათელა კაპანაძე



უძველესი რწმენა-წარმოდგენები
რაჭის ფოლკლორში 14
გივი სიხარულიძის 22-ე წიგნის
საჯარო განხილვა
ბათუმის ოპერის სცენაზე..... 18



მურმან ლებანიძე

ვოი..... 21



ზაალ ჩიკვილაძე

უსმინე ჭანჭახს 22
მინას ტკბილსა და რძიანსა 22
ასე ადიდებდნენ..... 23



სიკეთის მთესველი როსტომ
გოგოლაძე 70 24



ამბროლაური — სრულიად
საქართველოს ამცნობს..... 26

გოჩა გუტაშვილი



კეთილმოსავი კაცის, ომარ
გავაშელიშვილის გზა ცათა
სასუფეველისკენ..... 28

მანანა რუხაძე

სიყვარულით რაჭას, წინაპართა
კუთხეს 29

გივი ლობჯანიძე



დაკარგულის დაბრუნება 30

მიხეილ გავაშელი



ბურჯად დაუდგა სახლსა და
შრამელს..... 32

პაატა ცხადაია



რაჭის ტოპონიმები..... 34

აკვანი-ისტორია, რომელსაც
უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ.... 36

ნინო ჭინჭარაული



აკვნის მივინყებული კულტურა
საქართველოში..... 38

მთავარი რედაქტორი —

ნინო რეხვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

გოჩა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარციანიშვილი

ტექსტი ააწყო

თამარ გოგიანიძე

კორექტორი

ქეთევან ნახნაძია

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ
რაჭველებს და არა მარტო მათ,
გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _
გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,
რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს
მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა



„მდიდრა, ნინო მთუმიტ მდიდრა
და მთქძინდა სანაწრელი ჯაჯის ჯაჯი...“
ანა კალანდაძე

მან მიაღწია დიდ ტბას, ფარავანს (ჭელიშ. „ფარავანა“; /შინ50 „ფანავრაჲ“), სადაც ორი დღე შეჩერდა. იქ მან მეთევზეთაგან ითხოვა თევზი საკვებად და ფიზიკურად მოძლიერდა. იქვე ნახა მან მწყემსები, რომლებიც არმაზს და ზადენს ლოცულობდნენ და მათ შესანიშნავს უთქვამდნენ. დილაადრიან მისულმა ერთ მწყემსთანს სადაურობა გამოჰკითხა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ზოგი მათგანი დაბა „ელირგნით“ (/შინ50; მფ. ცხ. „ელარბინით“) იყო, ზოგი – საფურცლით და ქინჯარელნი (მფ. ცხ. „ქინძარელნი“) და ზოგიც – „რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. წმ. ნინოს სიტყვებით, მან გახედა ჩრდილოეთის, ანუ ქართლის მთებს, რომლებიც ზაფხულის თვის მიუხედავად სავსე იყო სასტიკი ჰავით და თოვლით და შეძრწუნებულმა წარმოთქვა: „უფალო, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან“.

ნინო თორმეტ წლამდე იზრდებოდა კოლასაში. მას დედა ზრდიდა თავის კალთაში და თან დღედაღამ, შეუსვენებლად გლახაკებს ემსახურებოდა („ალმზარდა მე დედამან ჩემმან ნიალთა შინა თესთა, მსახურებასა შინა გლახაკთასა და დღე და ღამე დაუცადებლად“).

თორმეტი წლის რომ გახდა ნინო, მისმა მშობლებმა გაყიდეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ და წავიდნენ იერუსალიმში. ზაბილონი პატრიარქის კურთხევით დაშორდა სუსანას, გამოემშვიდობა მხოლოდმობილ შვილს და წავიდა იორდანის გაღმა ასკეტური ცხოვრებისთვის, რის შემდეგაც იგი არავის უნახავს. სუსანა კი პატრიარქმა დააყენა გლახაკებისა და უძღური ქალების მომვლელად.

ნინო ორი წლის განამავლობაში ემსახურებოდა მიაფორს, დვინელ სომეხს, რომელიც მას უყვებოდა ქრისტეს ცხოვრების, მისი შესამოსელის, ჯვრების და სხვა სინმინდეების შესახებ. მისგან შეიტყო ნინომ, რომ მაცხოვრის კვართი ქართველ ებრაელებს ნაუღიათ მცხეთაში და მისგანვე შეიტყო ამ ქვეყნის ადგილმდებარეობის ამბავი.

სომხეთიდან ლტოლვილმა ნინომ დიდი გაჭირვებით გამოიზამთრა „ულუპორეთი“ (ჭელიშ. და /შინ50 „ულუპორეთი“. ეს უნდა იყოს დამახინჯებული ბერძნული ἰλιθίριον/ἰλιθίριον = ტყიანი ადგილი) და იენისის თვეში („თთუესა მეოთხესა“) გაემგზავრა ჯავახეთისკენ, რათა გაეგო თუ საით არის მცხეთა. ჯავახეთის მთებში

იმ ღამეს, წმ. ნინოს ტბის პირას ძილში გამოეცხადა უცნობი მამაკაცი, რომელმაც მას გადასცა დალუქული წერილი და უთხრა, რომ წასულიყო მცხეთაში და ეს წიგნი წარმართთა მეფისთვის მიერთმია. მაშინ ნინომ დაიწყო ტირილი და ვედრება, რომ უცხო ქალს, ენის არმცოდნეს, რა უნდა ეთქვა უცხო ხალხისთვის? რაზედაც მამაკაცმა გახსნა დალუქული წიგნი და ნააკითხა ქალწულს. წერილში ეწერა ათი სიტყვა, ძირითადად, ციტატები სახარებიდან, რომლებიც ქალთა მოციქულებრივ უფლებებს უსვამდნენ ხაზს. მაშინლა მიხვდა ნინო, რომ ეს ჩვენება ზეციდან იყო, ითხოვა შეწევნა უფლისგან, გაჰყვა ტბიდან გარდმომდინარე მდინარეს (იგულისხმება მდინარე ფარავანი, იგივე ახალქალაქისწყალი, იგივე, ჯავახეთის მტკვარი) და გაემართა მცხეთისკენ.

სანამ მდინარე დასავლეთისკენ მიემართებოდა, გზა იყო ძნელად სავალი და ფიცხელი და წმ. ნინომ ნახა დიდი გაჭირვება და შიში მხეცებისგან. როდესაც მდინარემ (აქ უკვე იგულისხმება მდ. მტკვარი) აღმოსავლეთისკენ იწყო დინება, მაშინ იგრძნო წმინდანმა შვება, იპოვა თანამგზავრები და მიაღწია ქალაქ ურბნისს.

ურბნისში ნინომ ნახა „უცხო ხალხი, უცხო

ღმერთების მსახური”, რომლებიც ცეცხლს, ქვებსა და ხეებს სცემდნენ თავყვანს. მივიდა იგი იუდეველთა სალოცავში („ჰურიათა ბაგინი“), ებრაული ენის გამო და იქ დაჰყო ერთი თვე და ეცნობოდა ამ ქვეყნის წეს-ჩვეულებებს.

ერთი თვის შემდეგ იგი მცხეთისკენ გამოჰყვა ხალხს, რომელიც იქ სავაჭროდ და მათი ღმერთის, არმაზის მოსალოცად მიდიოდა. იმ დღეს მცხეთაში მოსულები გაჩერდნენ მოგვთა უბნის გამოღმა, ხიდთან და იქიდან აკვირდებოდა წმ. ნინო მცხეთელ ცეცხლისმსახურებს.

მცხეთაში მოსვლიდან მეორე დღეს ხალხი არმაზის დღესასწაულს ზეიმობდა. ეს იყო 6 აგვისტოს („რამეთუ დღე იყო მიმექუსე თთვსაჲ მის, ოდეს—იგი ევმანუველ თაბორს მამისა ხატი აჩუენა თავთა მათ ცხოველთა და თავთა მათ მიცვალებულთა“, ანუ ფერისცვალების დღეს). ქალაქში ისმოდა სადღესასწაულო საყვირის ხმა და ურიცხვი ხალხი გამოფენილიყო ქუჩებში. უცბად ხალხმა აქეთ—იქით იწყო მიმოფანტვა და მიმალვა და გამოჩნდა ნანა დედოფალი, რომელმაც ნელა ჩაირა ქუჩა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდა ხალხი სამალავებიდან და ქუჩა სამოსლებითა და მცენარეებით მოფინეს. ხალხმა დაიწყო მეფის ქება—დიდების შესხმა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდა მეფე მირიანი თვალისმომჭრელი შესახედაობით. წმ. ნინო გაემართა არმაზის კერპის სანახავად. გარშემო მთები სავსე იყო ხალხითა და დროშებით. ნინომ მოასწრო არმაზციხეში შესვლა და დადგა ზღუდის ნაპრალთან და იქიდან უცქერდა თუ როგორი შიში და ძრწოლა ჰქონდა მეფეს და მთელ ხალხს იმ კერპისა. არმაზის კერპი სპილენძისგან იყო შექმნილი, მას ტანზე ოქროსჯაჭვისპერანგი ემოსა, თავზე ოქროს ჩაფხუტი ეხურა და ფრცხილის და ბივრიტის თვლებით შემკული ოქროსავე სამხრეები ეკეთა. კერპს ხელთ ეკავა გალესილი ხმალი, რომელიც მის ხელში ისე ბრწყინავდა და ტრიალებდა, რომ თუ ვინმე შეეხებოდა თავი სასიკვდილოდ ჰქონდა განწირული. არმაზის კერპის მარჯვნივ იდგა ოქროს კერპი, რომლის სახელიც იყო გაცი, ხოლო მარცხნივ — ვერცხლის კერპი, სახელად გა. ეს ორი კერპი არიან—ქართლიდან იყო მოტანილიაზოს მიერ, ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის დროს.

ამ კერპმსახურების შემყურე წმინდა ნინო ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, რათა მას ერჩენებინა სასწაული ამ ხალხისათვის და ესხნა ისინი კერპმსახურების სიბნელისგან. და თითქოს თვალისდახამხამებაში დასავლეთიდან ამოვარდა ქარი, რომელმაც სიმწრისა და სიმყრალის სუნი

მოიტანა და გაისმა საზარელი ქუხილის ხმა, ცაზე საშინელების მომასწავებელი სწრაფი ღრუბლები გაჩნდნენ. მაშინ ხალხმა იწყო გაქცევა იმ ადგილიდან და მათ დრო მიეცათ, რომ თავშესაფრამდე მიეღწიათ. მოახლოებულმა ღრუბელმა მოიტანა უმსხვილესი სეტყვა მხოლოდ იმ ადგილას, სადაც კერპები იყვნენ აღმართული. სეტყვამ ისინი დალენა, დაფქვა და დაანანევრა, ხოლო მათი ნამსხვრევები ქარმა კლდე-ღრეში ჩაყარა.


როგორც კი დაცხრა ქარი და სეტყვა, წმ. ნინო გამოვიდა კლდის ნაპრალიდან და იპოვა ბივრიტის თვალი, რომელიც არმაზის კერპის სამხრეებს ამკობდა. მან აიღო ეს თვალი და გაემართა იმ კლდის ბოლოს, იქ სადაც ძველად ციხე მდგარა. იქვე იდგა მშვენიერი ბრინჯის ხე, მაღალი და რტომრავალი. წმინდანი მივიდა იმ ხის ქვეშ, გამოსახა იქ ჯვრის ნიშანი და ექვსი დღის განმავლობაში ლოცულობდა იმ ადგილას.

მცხეთაში, სამეფო ბაღის მცველის სახლში 9 თვიანი ცხოვრების შემდეგ წმ. ნინო გავიდა ქალაქის ზღუდის გარეთ და დაბინავდა ერთ მაყვლის ეკალ—ბარდით შებურულ ადგილას. იქ შექმნა მან ვაზის ნასხლევისაგან ჯვრის გამოსახულება და ფარულად ლოცულობდა სამი წელი და ახდენდა მრავალ კურნებას (დღეს სწორედ იმ მაყვლოვანის ადგილას არის ზემო ეკლესიის, ანუ სამთავროს საკურთხეველი). ამ ხნის განმავლობაში, სასწაულებრივი კურნების ძალის წყალობით, წმინდანმა დაიმონაფა შვიდი ქალი, რომელთა შორის იყო სიდონიაც, აბიათარ მღვდლის ასული.

ამასობაში, წმინდა ქალწულმა მრავალჯერ სცადა სიდონიას მეშვეობით გამოეკითხა მამამისისთვის ქრისტეს კვართის მდებარეობის ზუსტი ადგილი, რაზედაც აბიათარი ბუნდოვან პასუხს სცემდა: იქ არის იმ სამოსლის ადგილი, სადაც ხალხთა ენა არ დადუმდება ღმერთის მიმართ გალობაში და ის ადგილი არის, როგორც იაკობის ადგილი, სადაც მას კიბე ესიზმრა ზეცამდე აღწეული. მხოლოდ ის განმარტა აბიათარმა, რომ ქრისტეს კვართის დამარხვის ადგილი ლიბანიდან მოტანილი და მცხეთაში დარგული ნაძვის ახლოს იყო (ეს სამეფო ბაღის ის ადგილია, საიდანაც აღებული მიწა წმ. ნინომ ბაღის უშვილო მცველსა და მის ცოლს შეაჭამა, რის შედეგადაც მათ შვილები გაუჩნდათ. ამ ადგილას, მოგვიანებით, სვეტიცხოვლის ეკლესია აშენდა).

მხოლოდ მცხეთაში მოსვლიდან მეოთხე წელს დაიწყო ნინომ ღიად ქრისტეს რჯულის ქადაგება და სწეულთა კურნება.

კაცურად ბანვლილი შვიდი ათეული ნელი



თამაზ აზანიშვილი

კავკასიონის ძირში, ულამაზეს სოფელში დაიბადა. მყინვარებიდან მონაქროლი ხასხასა ჰაერი მის ფილტვებს მეტ სიჯანსაღესა და ცხოველმყოფელობას სძენდა. ფეხი თამარის ნატერფალზე აიდგა. საბასეული ჭეშმარიტი ქართულით ამეტყველდა, აკვანში მწოლიარეს ჭანჭახი ნანას უმღერდა, დედის რძესთან ერთად ტუჩებს ვეძით ისველებდა და სოფლის ორღობეში კაცურ-კაცობის აკადემია აითვისა.

ასე იზრდებოდა თამაზ აზანიშვილი, თავის დედამამიშვილებთან ერთად. ოთხნი იყვნენ. ერთმანეთის სიყვარულში დაიზარდნენ. დედა ფედოსია შვილებს სახელოვნად ზრდიდა, დიდ ოჯახს უვლიდა და სოფელში დიდებული ქალის სახელით სარგებლობდა. მამა, ალექსანდრე აზანიშვილი მთელი ცხოვრება სკოლის დირექტორი იყო, მთელი სოფლის იმდროინდელი ახალგაზრდობა მისი მოძღვრების ქვეშ დაფრთიანდა. სოფელი იმ

ხანად ხალხმრავალი და გონმაღალი იყო. მთის ხალხს განსაკუთრებული წეს-ჩვეულება და ნიჭი დაანათლა უფალმა. ისინი მთებთან ალიანსში ცხოვრობენ. სისპეტაკე, სიმკაცრე, ნიჭიერება ბუნებამ დაუწესათ.



თამაზ აზანიშვილი და მარინა ხოტივაძე

სწორედ ამ ღირსებითაა დამშვენებული ბატონი თამაზ აზანიშვილი. იგი 70 წლის წინ, 1946 წელს მოევლინა სამყაროს. ბებია ქალმა ახალშობილი დალოცა, ნიჭი და გონება დაგანათლოს უფალმამო და მისი ლოცვა დღემდე მოჰყვება. რვანლიანი სკოლა სოფელ გლოლაში დაამთავრა. სწავლა ონის 1 საშუალო სკოლაში გააგრძელა. უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის

საგზაო-სავტომობილო გზების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც ნითელ დიპლომზე დაამთავრა.

საგზაო-სავტომობილო გზების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც ნითელ დიპლომზე დაამთავრა.



თამაზ აზანიშვილი და მარინა ხოტივარი შვილიშვილებთან ერთად



ქეთევან და თეონა აზანიშვილები

ახალგაზრდა სპეციალისტი განაწილებით „სოიუზ დორ პროექტ“-ში, ინჟინრის თანამდებობაზე გაამწესეს, სადაც 35 წელი იმუშავა. შემდეგ მთ. ინჟინრად გადაიყვანეს. ბატონი თამაზი აქ ინსტიტუტის ფუნქციონირებამდე მუშაობდა.

თამაზ აზანიშვილი მსოფლიოში მოღვაწე ინჟინერია. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში უწევდა მუშაობა. ფსკოვი-ლენინგრადის საავტომობილო გზის მთ. ინჟინერი გახლდათ.

ამჟამად ბატონი თამაზი სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს, ჰყავს ბაკალავრები და მაგისტრანტები.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად კვლავ

გზებისა და ხიდების მშენებლობის პროექტირებით არის დაკავებული. სულ მალე მისი წყალობით ზემო რაჭას ნანატრი მოასფალტებული გზა ექნება.

თამაზ აზანიშვილის წარმატებული კარიერა დიდწილად მისი ოჯახის, მისი მეუღლის მარინა ხოტივარის დამსახურებაა. ქალბატონმა მარინამ მეუღლესთან ერთად ორი ღირსეული ქალიშვილი გაზარდა, ორივე ექიმები არიან. ჰყავთ ოთხი შვილიშვილი.

ოჯახი სიძეებით ამაცობს. ირაკლი ოთარაშვილი (ნეიროქირურგი) და ლევან ბახტაძე (ონკოლოგ-ქირურგი) აზანიშვილების ლამაზ ოჯახს მეტ შნოსა და ლაზათს ჰმატებენ.

დიდი ოჯახის მამა, თამაზ აზანიშვილი 11 ივნისს 70 წლის ხდება.

ბედნიერებას და ხანგრძლივ, ნაყოფიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ ღვანლმოსილ ბატონს, თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ნინო რხვიაშვილი



თამაზ აზანიშვილის შვილიშვილები



რაჭაში დამზადებული რკინის ნაწარმის შესახებ

აღებ-მისჯობა ონში

დიდი ბაზრობა იმართებოდა რაჭაში. ონი ძველთაგანვე სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა: იგი ერწოს გადასასვლელით ცხინვალისა და ქართლს, ხოლო მამისონის, გეზევეცის და კარაგომის გადასასვლელით ჩრდილო კავკასიას უკავშირდებოდა, რაჭას ზემო სვანეთთანაც ჰქონდა მიმოსვლა საცალფეხო გზით.

გიულდენშტედტის გადმოცემით, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში არსად იმდენი სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი არ იკრიბება სავაჭროდ, რამდენიც ონში.

ზემო რაჭაში „ქვანთელას“ სანახებში მოიპოვებოდა რკინის საბადოები. ადგილობრივი მოსახლეობა რკინის ამ მადნებს ოდიდგან ამუშავებდა. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რკინის მწარმოებელ მთელ ხეობას „სარკინეთი“ ეწოდებოდა. ხოლო მენარმეთ „რკინის კაცები“.

სარკინეთში დამზადებულ რკინას „წედური რკინა“ ეწოდებოდა. სარკინეთში დამზადებული რკინეულის ნაწილი ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, ჭარბი ნაწილი აღებ-მიცემობის საგანი იყო. იგი გაჰქონდათ, როგორც მახლობელ, ისე შორეულ თემებში და იცვლებოდა საჭირო საგნებზე.

გიულდენშტედტის ცნობით, რაჭაში დამზადებული რკინის ნაწარმი კახეთშიც კი აღწევდა, სადაც იცვლებოდა პურზე, საქონელსა და სხვ. იგივე ავტორი ონის აღწერის დროს ხაზგასმით მიუთითებს, რომ სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით, ქართლიდან მოზიდული ბამბის ქსოვილებით, მარილითა და ფეტვით, ოსები სავაჭროდ მოდიან აქ დვალეთიდან და დიგორიდან, აგრეთვე ბალყარები, ბასიანელები და სვანებიც.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რაჭიდან რკინეული ნაწარმი გაჰქონდათ ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ კუთხეში: დიგორს, ბასიანს და ყაბარდოში, ჩრდილო კავკასიიდან რაჭაში შემოჰქონდათ უმთავრესად ჩოხა-ნაბადი და მატყლი. რაჭიდან გაჰქონდათ აგრეთვე კანაფი, აბრეშუმი და სხვა საგნები, ამ აღებ-მიცემას აწარმოებდნენ როგორც რაჭველები, ისე ჩრდილო კავკასიელები.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მიხეილ რეხვიაშვილი





ჟურნალი „რაჭველები“ იწყებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევების მიმოხილვას, რომელიც ეხება რაჭის წარსულს. ჩავთვალეთ, რომ ამ რუბრიკის გზამკვლევი უნდა ყოფილიყო აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც 1919-1920 წლებში იმობზაურა რაჭაში და მომავალ თაობას ოქროს ფონდის სახით რაჭის ეროვნული სიმდიდრე შემოგვინახა.

მაშ ასე, ვინაშემ 1919-1920 წლის არქეოლოგიური მოგზაურობის დოკუმენტების ბეჭდვას, რომელიც დიდად საყურადღებო ფაქტებს გვამცნობს ზამო რაჭაში განთავსებულ არქიტექტურულ ძეგლებზე, მოხატულობაზე, ოქრომჭედლობის ნიმუშებზე და ხელოვნების სხვა ნივთებზე, წარწერებზე და მათში მოხსენიებულ ისტორიულ პირებზე.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანეს რაჭის ისტორიული წარსულის კვლევაში.

ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში

(დასაწყისი იხ. ჟურნალ „რაჭველების“ N4)

8. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა. 40,5X27 სმ. აქვს წარწერა: „წი გი შოდის“ (სურ. 3). წმიდანი გმირავს უშნოდ გამოხატულ კაცს, რომელსაც ხმალი მოცილებული აქვს და გვერდზე უდევს. აშიებზე ხუთი მედალიონია ჩვილედი დედის ღვთისა. საერთოდ ტლანქი ნახელავია.

9. წმიდის გიორგის ხატი, მოოქროვილი ვერცხლისა, 66X43 სმ., წმიდანი წარმოდგენილია მხედრის სახით. ხატი ლამაზი ხელობისაა. ერთ დროს ფრიად გამშვენებული ყოფილა, მაგრამ ეხლა სანახევროდ მოშლილია. წმიდა გიორგი წარმოდგენილია სრულის ტანით, ფეხზედ მდგომარე, სუბით ცალ ხელში, მეორე ფარზე უდევს. წარწერა: წ ს გ ი შ დ ის. ამ ხატს ფენგები მერმინდელი აქვს, ლურსმულად მოჩუქურთმებული. სამი ამობერილი რგოლით ძვირფასი ქვების ბუდის მსგავსად.

10. წმიდა გიორგის ხატი, ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, 42X29 სმ. კარგი ხელობისა, არა უგვიანეს XIV საუკუნისა. წარმოდგენილია ცხენით. გმირავს დეოკლეტიანე მეფეს, მაგრამ მეფის ფიგურის უმეტესი ნაწილი მოშლილია. ზემოთ მედალიონებში სწერია: „წ ე გ ი შ დ ს“. ე. ი. „წმიდაი გიორგი შოდისა“. არშია ლურსმულად არის მოჩუქურთმებული, მოუყვითლავი და მერმინდელი უნდა იყოს. ქვემოთ წარწერა აქვს:

წ ე გ ი შ ე „წმიდა გიორგი, შეიწყალე
მ დ ლ ი კ ვ შოდელი კავა (?) —
ბერი წ ე ქ ე ს ბერი წინაშე ქრისტესა“



მეფეს მახვილის ქვეშ დარჩენილია ასოები: მფე, მაგრამ ამ სიტყვის მ და ე გადმობრუნებულად არის წარმოდგენილი. ბროსეს დროს აქ უფრო გრძელი წარწერა ყოფილა, მას მოყავს „...ოვონ მეფე“.

11. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა, შუატანისა, სულ გაფუჭებული, მოჩანს მხოლოდ წმიდის გიორგის თავი, შუბის წვერი და წარწერა მხედრულად: მთვ რ მონა...; გვიანი ხელობისაა. უნდა იყოს XVII საუკუნისა.

12. მაცხოვრის ხატი, ვერცხლისა, 60X50 სმ. ეს თავხატად ითვლება ამ ეკლესიისა, წარწერით: ი ვ ქ ე, შემკობილია ყურძნის მტევნებით, რომელიც სანახევროდ დაცულია. ზემოთ ფენგზე მედალიონებში ვედრება, მარცხენა ფენგზე „მიქელ“. არშია ლურსმულია. ქრისტე ტახტზე მჯდომარეა, მარჯვენა ხელი კურთხევის ნიშნად, მარცხენით სახარება უპყრია. ხელობა ტლანქია XVII-XVIII საუკ.

13. ჯვარცმის ხატი, ვერცხლისა 40X29 სმ. შუაში გამობერვით წარმოდგენილია ჯვარცმა და წინამდგომარენი. იოანე და მარიაში. ზევით ორი მთავარანგელოზია ფეხზე მდგომარენი. ზემოთ კუთხეებში თითო თავია წარმოდგენილი, შუაში ფენგებზე ოთხკუთხედში მარჯვნივ და მარცხნივ თითო წმიდანი. ქვემოთ კიდევ მედალიონებში თითო წმიდანი. შემკობილება და თვით მთელი ხელობა ხატისა ლამაზია, მაგრამ რამოდენიმე მხედრული წარწერა ერთობ ვულგარული და ძნელი ამოსაკითხავია. ამიტომაც ბროსეს ვერ განურჩევია ჩვენ ვკითხულობთ:

ოქროს ფონდი

მცხოვარო: გუმარჯვე: ღებისა: ჴევსა: ამინ უფლო:

ლთო დ: მცხოვარო: გუმრჯვე: გიორგისა დ: დავითსა: დ შია ოშსა: ამინ: უფალო ღმერთო.

„მაცხოვარო გუმარჯვე ღებისა ჴევსა ამინ. უფალო ღმერთო და მაცხოვარო, გაუმარჯვე გიორგისა და დავითსა და შია ოშსა ამინ, უფალო ღმერთო“.

ჯვარცმულის ზემოთ:

ქ. მიქელს: შიოს: კიდევე: გიურგისა: და ნიკოლი: სამუნოს: ცხოზა: საქოსა: დღეგრძელობით ვნებითითა: ამინ: უფალო:

ზემო აშიაზედ:


| | |
|--------------------|----------------------|
| ქ. მო: გვიჭედინე | „ქრისტე მოგვიჭედინე- |
| ბია: ჩუენ გრ | ბია ჩვენ გიორგო- |
| ი ბიანსა: დ გრ (?) | ბიანსა და გრ (?) |
| კი ილსა ურეგვ | კიილსა ურეგვ- |
| ლსა: ქე ბიმესა (?) | ელსა ქებიმესა“ (?) |

ქვემო აშიაზედ ნაკლულოვანათ:

ქ. ტკბი ღმერთ უ
ლო შველე: ამისა
ელთანსა...

14. ხატი ხვთისმშობლისა, ჩვილედი, 58X40 სმ, ვერცხლისა, გამობერვით ჭედილი, ტლანქი ხელობისა. ტანსაცმელი ერთობ ნაოჭიანია, ძის ფიგურა მეტად დიდია, მაგრამ ძეგლი საერთოდ მაინც საინტერესოა; აშია შემკობილია ყურძნის მტევნის სახის ჩუქურთმებით. ნარწერა: ნი

ლთი
მში




15. ჯვარი დიდი, ხისა, შეჭედილი ვერცხლის ფირფიტებით, ნახევარზე მეტი ფირფიტებისა მოძარცულია, ხელობა ტლანქია. ზემოთ ნარმოდგენილია მაცხოვარი და ანგელოზი, ქვემოთ ორი მთავარანგელოზი, მარჯვენა ფრთაზე ჯვრისა ნმ. გიორგი, შუაში ამობერვილი ბურთი (უმბო).

16. მეორე დიდი ხის ჯვარი, ასეთივე ხელობისა. შუაში აქვს ამობერვილი უმბო დიდი აყიყით. ზემოთ ფირფიტაზე ნარმოდგენილია მაცხოვარი; ქვემოთ და ორივე ფრთაზე ოთხი ნმ. გიორგი.

17. ჯვარი ხისა, 30X28 სმ. დაბალი ვერცხლის ფირფიტებით შეჭედილი, ქვემოთ ნარმოდგენილია ნმიდა გიორგი. ძლიერ უხეში ნამუშევარია. ზემოთ კიდევე უფრო უხეში გამოსახულება მაცხოვრისა.

18. ჯვარი მოზრდილი, ვერცხლისა, 47X28 სმ. (სურ. 5), შუაზედ ნარმოდგენილია ჯვარცმა ნარწერით IC XC. მარცხნივ და მარჯვნივ მედალიონებში მარიამი და იოანე. ზემოთ ანგელოზი, ქვემოთ ნმიდა გიორგი. ხელობა ტლანქია.



19. ჯვარი მოზრდილი, სატარებელი, მოოქროვილი ვერცხლით მოჭედილი, 72X36 სმ., უფრო კარგი ხელობისა, ვიდრე ზემოთ აღწერილი ჯვრები. XIV-XV საუკუნისა. შუაში გამოსახულია ჯვარცმა მარიამით და იოანეთი. ზემოთ და ქვემოთ ფრთებზე ნარმოდგენილია თითო მთავარანგელოზი. შემკობილია ცხრა პატიოსანი თვალით. ჯვარცმას აწერია: „იესო მეუფე ჰრიათა“.

ჯვარცმულის ქვემოთ:


ქრისტე ღთო მეოხ და მფრვლ ექმენ სულსა გოგასა დ მ სისა დედისა ცხორბას.

ქვემოთ:

ქრისტე ღთო მეოხ და მფარვლ ექმენ პ ველოს ძის შვილსა მიქაელსა

„ქრისტე ღმერთო, მეოხ და მფარველ ექმენ პ-ელოს ძის შვილსა მიქაელსა“

20. ჯვარი ხისა, ზედ დაჭედილი მოოქროვილი ფირფიტებით, 45X20 სმ (სურ. 6), გვარიანი ნახელავი, შუაში მოჩანს მოშლილი სახე ჯვარცმულისა, ზემოთ ნარწერა: IC XC „მეუფრათა“, მარცხნივ და მარჯვნივ მედალიონების სურათები მოშლილია. ჯვრის ზურგიც შევერცხლილია და შემკობილია ზოლებით.



21. ბარძიმი ვერცხლისა, მხედრულის ნარწერით:

ქ. მაცხოვარო. მხსნელო: ღების, ეკლესიისა.

შინა. განსნებლო. შეინირე. მონისა. წერეთლის გრიგოლისაგან. ბარძიმი ფეშხუმი კოვზი და კამარა ესე ვეცხლისა და მაგე საუკუნო. ოხა ცოდვილსა: ნელთა: ჩეიგ. (1813).

22. სახარება განთვისული, ეტრატზედ ნანერი, დაშლილი, დანოტივებული და გაფუჭებული მოუვლელით. დანერილი ყოფილა კარგი ნუსხახუცურით. XIV-XV საუკუნისა.

23. დავითნი ეტრატზედ ნუსხა ხუცურით, თავი და ბოლო აკლია, დანოტივილი და გაფუჭებული მოუვლელით. XV-XVI საუკუნისა.

24. სადღესასწაულო, უშნო ხუცურით ნანერი, ქალაღზე, ყდაში. XVIII საუკუნისა. დანოტივებული და მოუვლელით გაფუჭებული.

25. ოქროს ჯვარზედ, რომელიც ეხლა აღარ არის, ყოფილა შემდეგი წარწერა ბროსეს მიერ გადმოღებული:

ლტოერაეძესა ივანეს შეუნდვნეს ღმერთმან.

და ქვემოთ:

ქრისტე ღმერთო მეოხ და მფარველ ექმენ

სულსა შერთელაძისა ღილას.

II. ჭიორა

სოფელი ჭიორა მდებარეობს ღებს ქვემოთ, მისგან სამიოდე კილომეტრზე რიონის მარცხენა ნაპირას. სოფელი დიდია, შიგ მრავალი ძველი და ახალი შენობები დგას. ძველი კოშკებიდან შემორჩენილია მარტო მალალი, ოთხკუთხედი კოშკი. სოფლის თავში მდგარი ეკლესია ამჟამად განახლებულია. მეორე ეკლესია შიგ სოფელში აშენებულია XIX საუკ. 70-იან წლებში. იგი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, რომელსაც აქვს ოთხი სვეტი და შიგნითა და გარეთ

მომრგვალებული საკურთხევლები.

ამ ეკლესიაში არის მხოლოდ ერთი პატარა ხატი იოანე ნათლისმცემლისა, ოქროცურვებული ვერცხლით შეჭედილი, ლამაზი ხელობისა, იოანე ნათლისმცემლის თავი გარემოცულია სმალტისაგან გაკეთებული, მიხაკის ფერი მინანქრით. ხატს აქვს წარწერა: „ნი იოე“. როგორც გადმოგვცეს, ეს ხატი უპოვონიათ შოდის კლდეში, ყინულებს ქვეშ და აქ გადმოუტანიათ. სხვა ძველი ნაშთი ეკლესიაში ვერა ვნახეთ რა.

III. გლოლა

სოფელი გლოლა გაშენებულია ჭანჭახის წყლის მარჯვენა ნაპირას, ხოლო ამ სოფლის ახალი უბანი მარცხენაზე. ჭანჭახის მთა, საიდანაც ეს წყალი გამოდის, არის მამისონის უღელტეხილთან. იქაურები რიონს ეძახიან, მაგრამ ნამდვილად იგი არის რიონის შენაკადი, რომელიც იმ ადგილას სიდიდით არ ჩამოუვარდება რიონს. ჭანჭახის წყალი მარცხნიდან ერთვის რიონს, გლოლას ქვემოთ მისგან 4 კილომეტრზე, შესართავს ცოტა ქვემოთ, რიონზე გადებულია კარგი რკინის ხიდი. ამ ხიდს ზემოთ, ოსეთის სამხედრო გზა ორად იყოფა, ერთი მიდის მამისონის უღელტეხილისაკენ და გაივლის გლოლაზე; მეორე, ხიდს მარცხნივ, რიონის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება და ჭიორასა და ღებში მიდის.

ჭანჭახის წყალს გლოლასთან მარჯვნიდან ერთვის ბოყოს წყალი. ამ წყალს გაღმა, მწვერვალზე ყოფილა ციხე და მიტოვებული სოფლის სახლები. ეხლა ყველაფერი დანგრეულია. ციხესთან შემორჩენილია ძველი, ქვით ნაშენი ეკლესიის ნანგრევები. უკეთესადაა დაცული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები. შემდეგი ნაწილები განახლებული ყოფილა და ეხლა ისინიც დანგრეულია. ეკლესიის აშენებას მიაწერენ თამარ

მეფეს. ეკლესია მოხატული ყოფილა. მაცხოვრის ფრესკის ნაწილი ეხლაც მოჩანს საკურთხეველში. ციხისაგან შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევები ორი კოშკისა. ერთი ეკლესიის მახლობლადაა, მეორე — ქვემოთ. ამ ციხის ჩრდილოეთით, მთის კალთაზე, დგას უბრალო დიდი ქვით ნაშენი, სულ პატარა ეკლესია, რომელსაც აქვს კარი სამხრეთიდან, და ორი სარკმელი, თითო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში. ამ ეკლესიის აშენებას მიაწერენ დავით აღმაშენებელს და მას „საბეროს“ უწოდებენ, ვინაიდან აქ მწირს უცხოვრია. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა მშვენიერი ფრესკებით. საკურთხევლის კონქში გამოხატულია ვედრება. შუაში — ტახტზე მჯდომარე მაცხოვარი გაშლილი სახარებით, რომელსაც აწერია:

„მე ვარ ნათელი სოფლისა“ და სხვა.

მარცხნივ ღვთისმშობელია, მარჯვნივ — იოანე ნათლისმცემელი, წარწერით: „იე ნისმცემელა“, ამის ქვემოთ წარმოდგენილი არიან მღვდელმონესენი, სულ ოთხი — ორ-ორი სარკმელს მარჯვნივ და მარცხნივ. წარწერა შერჩენია იოანე ოქროპირს. მარცხნივ — მღვდელმონესეს უკან დახატულია „ნე რომანოზ“. მღვდელმონესეებს გრაგნილები უჭირავთ. ერთ მათგანს აწერია:

XVI საუკუნის სოციალური მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში

მიხეილ რეხვიაშვილი

ერთი შეხედვით გაუგებარია, თუ როგორ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა შიმშილსა და ეკონომიკურ გაჭირვებას ბუნებით ისე მდიდარ და უხვმოსავლიან ქვეყანაში, როგორც იყო საქართველო, კერძოდ, მისი დასავლეთ ნაწილი, სადაც მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა ჰყვავდა, ბევრი ძვირფასი კულტურა ხარობდა და ასეთ ინტენსიურ მეურნეობას მისდევდნენ. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობის წარმოება ხშირად გაძნელებული იყო და ზოგჯერ სრულებით შეუძლებელიც ხშირი საგარეო და შინაომების გამო; როგორც ვიცით, ეს ომები, ცალკეული ბრძოლები თუ შეტაკებანი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სამეფო—სამთავროების ტერიტორიაზე წარმოებდა, რაც დიდად უშლიდა ხელს ამ რაიონებში რაიმე სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას და მუშაობას; გარეშე თუ შინა ომებში ჩაბმული იყო არა მხოლოდ თავადაზნაურობა, რომელიც მეურნეობაში არ მუშაობდა, არამედ დიდძალი მშრომელი მოსახლეობა, მონყვეტილი იყო თავისი უშუალო საქმიანობისაგან; ურთიერთბრძოლისა და გარეშე მტრის თავდასხმების დროს ნადგურდებოდა სარჩო-საბადებელი, რაც მწარმოებელი მოსახლეობის მიერ იყო მოპოვებული როგორც არამწარმოებელი მოსახლეობის სარჩენად, ისე საკუთარი თავისა და ოჯახის გამოსაკვებად; მტერი ერეკებოდა მუშა და პროდუქტიული საქონლის ჯოგებს, ხოლო მეცხოველეობის დარგში რეპროდუქციას ერთი და ორი წელიწადი არ ყოფნიდა, ამას ზედ ერთვოდა ეპიზოტიები — საქონლის დაავადებები, რაც საბოლოოდ ანადგურებდა

პირუტყვის ისედაც მცირერიცხოვან ჯოგს; და ბოლოს, ხშირი იყო ინფექციურ სნეულებათა დიდი ეპიდემიები — ძირითადად შავი ქირისა, რომელიც ენდემიური (მუდმივი) კერებიდან, რომლებიც საქართველოს გარეთ მდებარეობდნენ (უმთავრესად სამხრეთის ქვეყნებში), საქართველოში ვრცელდებოდა და მუსრს ავლებდა მოსახლეობას.

საუკუნეების მანძილზე მშრომელი მოსახლეობა გარეშე მტრის ყოველი შემოსევისა და ურთიერთბრძოლის დროს მასობრივად ტოვებდა ადგილსამყოფელს და მიუვალ მთებსა და ტყე-ღრეებში პოულობდა დროებით თავშესაფარს, რომ შემდეგ ისევ დაბრუნდებოდა მშობლიურ ადგილებს.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო სისტემატური სამეურნეო საქმიანობა და ამიტომაც, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, იგი არც წარმოებდა. ცხადია, მრავალრიცხოვანი პარაზიტული კლასის რჩენასთან ერთად, რაც სამეფო და საეკლესიო ბეგარების გვერდით მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ მოსახლეობას, საკუთარი თავის ღირსეულად შენახვა უკვე შეუძლებელი იყო, მოსახლეობის მასა შიმშილობდა და ამ ნიადაგზე ამორალურ ზნე-ჩვეულებებსაც იძენდა (მაგალითად, ახალშობილთა მოსპობა).

დასავლეთი საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარში და მთელი XVII საუკუნის მანძილზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მოექცა. მწარმოებელი მოსახლეობის შემცირებამ გამოიწვია პარაზიტული კლასის შემოსავლის შემცირებაც. ამის გამო, კომპენსაციის მიზნით, მიმართეს იმ საზომ-საწყაოს გადიდებას, რომლითაც გლეხობას ბეგარა უნდა

მიეცა თავად-აზნაურობისა და ეკლესიისათვის.

საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით ლიტრა ექვსჯერ გადიდა, დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური დაუძღურების ერთ-ერთ საბუთად შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი ფაქტი; როდესაც გიორგი გურიელმა ოდიშის მთავარს გიორგი დადიანს სასისხლოდ 10 000 დრაკანი მოთხოვა, გიორგი დადიანი ამაზე დათანხმდა, მაგრამ ვინაიდან ეს თანხა მას არ გააჩნდა, გიორგი ხოფი მისცა. ამ ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს: „ვინაიდან-გან მწირობდა დადიანი და არა აქვდა ეგოდენი მისთვის მისცა ხოფი, ვიდრე ამოვიდოდეს ფასი ოქროსა მის“.

საზოგადოებრივი ნოდებანი

თავადი. XI-XIII საუკუნეებში სიტყვა თავადი ყოველგვარი საქმის თავ-კაცის, უფროსის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარებოდა და ამ საუკუნეებში ფეოდალები მხოლოდ ერთ-აზნაურთა ნოდებად ითვლებოდნენ, XIII და საბოლოოდ XIV საუკუნეებში აზნაურობას გამოეყო დიდებულთა ფენა, რომელიც მეფისგან ბოძებული „დიდების“ წყალობით გამოცალკევდა, „დიდება“, მემკვიდრეობით კუთვნილებად იქცა. მისი მქონენი აზნაურთა ნოდებაზე უპირატესი მდგომარეობით გამოირჩეოდნენ. XV საუკუნეში თავადთა ნოდების ჩამოყალიბება დამთავრდა.

სანამ თავადის უფლება-მოვალეობას შევხებოდეთ, განვსაზღვროთ თვით სათავადოს ცნება.

სათავადო იყო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო ერთეული, რომელსაც გადამწყვეტი ადგილი ეჭირა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისთვის დამახასიათებელი იყო ერთიან ტერიტორიაზე:

1. ტერიტორიის ერთობა, ე.ი. ყმა-მამული, რომელიც მას გააჩნდა, ნიშნები ჰქონდა;
2. ციხე-დარბაზები, ეკლესია-მონასტრები, საგვარეულო საქვალეები;
3. სათავადო წარმოადგენდა გარკვეულ სამხედრო ერთეულს;
4. სათავადოს გარკვეული ყმა-მამული გააჩნდა. თავადის ძალა მისი ყმების რიცხვზე იყო დამოკიდებული;
5. სათავადო სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა და ძირითადად თვით იკმაყოფილებდა თავს, ე.ი. მისი მეურნეობა ნატურალური ხასიათისა იყო;
6. თითოეულ სათავადოში მხოლოდ ერთი თავადი ითვლებოდა, დანარჩენები ამ სათავადო სახლის თავადისშვილად ითვლებოდნენ. უფლებრივად თავადი და თავადიშვილი განსვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

გვიან ფეოდალურ საქართველოში ვახტანგის

კანონების მიხედვით თავადები უფლებრივად სამ მთავარ ჯგუფად იყოფიან: 1) „დიდებული თავადები“, 2) „შუათანა თავადები“ და 3) „მესამე რიგის თავადები“.

სათავადოს სათავეში უდგას „დიდებული თავადი“, თითოეული თავადის უფლება-მოვალეობა პირობითად შეიძლება ორად გაიყოს: საშინაო და საგარეო.

თავადის საშინაო მოვალეობაში შედის: სათავადოს შიგნით მართვა-გამგეობის მოწესრიგება, მოხელეთა დანიშვნა, მათი სარგოსა და ხელის (გასამრჯელო, ანაზღაურება) განსაზღვრა, ბატონყმური რიგის დაცვა, ყმისა და მამულის ყიდვა-გაყიდვა, სოციალური ურთიერთობის მოწესრიგება, სათავადოს თავდაცვის ორგანიზაცია და სხვ.

თავდაცვის საგარეო ფუნქციას წარმოადგენს: ურთიერთობა სამეფო კართან, დამოკიდებულება მეზობელ სათავადოებთან და სხვ.

ყველა სათავადოს თავისი „სახლის რიგი“ ჰქონდა, სადაც განსაზღვრული იყო თავადისა და თავადიშვილის უფლება-მოვალეობანი, „სახლის რიგს“ მეფე ამტკიცებდა და თვით მეფე ადევნებდა თვალ-ყურს, თუ როგორ იცავდნენ მას სათავადოს წევრები.

თითოეულ სათავადოს თავისი სათავადო ნიშანი გააჩნდა. როცა სათავადოს უფროსი გარდაიცვლებოდა, სათავადოს წევრები ამ ნიშანს მეფეს წარუდგენდნენ და მეფე ახალ თავადს ნიშნავდა გარდაცვალებულის ადგილზე.

ახალ თავადად სავალდებულო არ იყო მაინც და მაინც გარდაცვლილი თავადის შვილი ყოფილიყო, ჯერ თვით სათავადო საგვარეულოს წევრები წინასწარ შეთანხმდებოდნენ, თუ ვინ უნდა აერჩიათ თავადად და თავიანთ კანდიდატს მეფეს წარუდგენდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში სათავადოს უფროსს მეფე ნიშნავდა, რის დროსაც ანგარიშს უწევდა სათავადოს სახლიკაცების ნება-სურვლის.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს დასავლეთ საქართველოში ო. სოსელია აღნიშნავს, რომ „არა გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ დასავლეთ საქართველოში სათავადოს უფროსს, როგორც წესი, მეფე ან მთავარი ნიშნავდა. გვაქვს საბუთები, საიდანაც ირკვევა, რომ სათავადოს უფროსს მეფე არ ნიშნავდა, მას სათავადოს სახლიკაცები ირჩევდნენ, „უფროსობას ან ბატონობას ანებებდნენ“. აქედან გამომდინარე, მკვლევარი დაასკვნის, რომ „სათავადოს უფროსობა მემკვიდრეობით სახელს არ წარმოადგენს“.

რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული დასავლეთ საქართველოს სათავადოს ასეთი დამოუკიდებლობა სამეფო კარისაგან? საფიქრებელია, რომ ეს განა-

პირობა იმერეთის მეფის ხელისუფლების სისუსტემ.

მიუხედავად ამისა, სათავადოს უფროსი მაინც მეფის ყმად ითვლებოდა. კიდევ ერთი თავისებურება შეიმჩნევა დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში სათავადოს თავისი სახლის რიგი აქვს, სადაც სათავადოს ნევრების უფლება-მოვალეობებია აღნიშნული. ამ „კონსტიტუციას“ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ამტკიცებდა და ამავე დროს, როგორც აღინიშნა, მეფე სვამდა სათავადოს უფროსსაც; მეფევე ადევნებდა თვალყურს, რომ ეს ნესი არ დარღვეულიყო.

დასავლეთ საქართველოში კი „სახლის რიგს“ თვით სათავადოს უფროსი და სახლიკაცები ადგენდნენ ანდა თვით სათავადოს უფროსი ადგენს და სახლიკაცებს უთანხმებს.

აღმოსავლეთ საქართველოში სამოხელეო აპარატი და საერთოდ მართვა-გამგეობა სათავადოს უფროსის ხელში იყო.

ასეთივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოშიც; სათავადოს უფროსის ხელში იყო მთელი სამოხელეო აპარატი.

სათავადოთა უმეტეს ნაწილს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა მოპოვებული, ე.ი. მისი ყმა-გლეხები სახელმწიფო გადასახადს არ იხდიდნენ.

ნ. ბერძენიშვილი სათავადოს საგადასახადო შეუვალობის შესახებ წერს: „მრავალ ბატონს შეუვალობის უფლება მოუპოვებია, ე.ი. მეფეს ასეთი ბატონის ყმები ყოველგვარი სამეფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლებია. ასეთ გადასახადებს ამიერიდან ეს ყმები შეუვალობის მქონე მებატონეს უხდიათ.“

„ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ აკავშირებდა ამ ნახევრად ხელმწიფეებს მეფის ხელისუფლებასთან, ეს იყო მათი სალაშქრო მოვალეობანი“.

არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს: „თავადებს ისეთი უფლება და მნიშვნელობა აქვთ სამეგრელოში, როგორც არ მოეპოვება არც ერთ თავადს ევროპაში... აქაური ბატონის უფლება ბევრად აღმატება ჩვენი იტალიელი თავადის უფლებას, რადგან აქაურ ბატონს შეუძლია გაასამართლოს თავისი ყმები და ყმას ნება არ აქვს მის განაჩენზე იჩივლოს თვით მთავრობის წინაშეც.“

ამ შემთხვევაში ა. ლამბერტი აზვიადებს მეგრულ თავადთა უფლებას; თავადთა ასეთ უფლებას გლეხებზე ვერ ხედავს ბოროზდინიც.

თავადის გარეშე სამეფოში არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ წყდება. იგი მეფესთან ერთად ქვეყნის პოლიტიკური საქმეების აქტიური მონაწილეა. მეფე იბრძვის, რომ თავადის უფლებები შეზღუდოს და იგი თავისი მორჩილი მოხელე გახადოს, მაგრამ ამას ვერ ახორციელებს, ზოგჯერ ხდებოდა

პირიქით — „ბევრჯერ ჟამთა დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევიანებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ“.

ყოველ სათავადოში სამი სახის მფლობელობა-ქონება არსებობდა: 1. „სახასო“, 2. „საუფლისწულო“ და 3. „სათავისთავო“.

სათავადოს ძირითად ქონებას „სახასო“ წარმოადგენდა. მას თავადი განაგებდა. მთელი შემოსავალი აღირიცხებოდა, სახელმწიფო გადასახადების შემდეგ შემოსავალი განაწილებოდა ძმებს შორის არათანაბარი პრინციპით: სათავადოს სახლს უფროსი აიღებდა საუფროსოს, შემდეგ ძმები — საშუალოს და საუმცროსოს.

„საუფლისწულო“ მიცემული ჰქონდა თავადიშვილს, როგორც სახარჯო ქონება. შემოსავალი ხმარდებოდა თავადიშვილს. ერთი შეხედვით, საუფლისწულო იყო პირად საკუთრებაზე დაფუძნებული ქონება. იგი თავადისა თუ თავადიშვილის ოჯახის ნევრების პირად საკუთრებას წარმოადგენდა. მასში შედიოდა მზითევი, ნასყიდი, ნაწყალობები და სხვა.

გვიანფეოდალურ ხანაში სათავადო პოლიტიკურად უფრო დამოუკიდებელი ხდება. იგი მოქმედებს „იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებს მას საკუთარი ფეოდალური ინტერესები... მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პოლიტიკას, პირუკუ — უკანასნელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ, საბოლოო ანგარიშში „პირველს“. მაგრამ საბოლოოდ თავადი მაინც მეფის ყმად ითვლებოდა. მეფეს შეეძლო მოლაღატე თავადისათვის ყმა-მამული ჩამოერთმია და იგი სახასოდ ექცია.“

უმემკვიდრეოდ დარჩენილი ყმა-მამული თავადის ნათესავზე კი არ გადადიოდა, არამედ მეფეს რჩებოდა და მისი სურვილისამებრ სხვას გადაეცემოდა.

თავადი სახელმწიფო, სამეფო გადასახადებს იხდიდა და მეფის განვევაზე უსიტყვოდ გადიოდა.

ყველა ეს პირობა, რომელიც თავადს მეფის წინაშე ვალდებულს ხდიდა, ყოველთვის არ ხორციელდებოდა. ეს დამოკიდებული იყო დროზე, პირობებზე და თვით პიროვნებაზე. თავადები მეფის ყმები იყვნენ, მაგრამ ისინი მეფეს არ უყურებდნენ როგორც „ღმერთის სწორს“, მათ თვალში მეფე მხოლოდ პირველი თანასწორთაგანი იყო.

თავადები მეფეს ერთგულებდნენ, თუ მისი პოლიტიკა მათ ინტერესებს შეესაბამებოდა, თუ არა და ისინი ადვილად არღვევდნენ მეფისადმი მიცემულ ფიცს და ემხრობოდნენ მეფის მონინააღმდეგეს.



რაჭის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ბავშვი დაიბადებოდა თუ არა „ბებია ქალი“ მას თბილი წყლით მაშინვე დაბანდა. წყალში ნახშირს ჩააგდებდა — წყალს არაფერი ამოყვება, თვალი არ ეცემო, წყალში ცოტაოდენ ღვინოსაც გაურევდნენ — ბავშვი მაგარი იქნებო. ნაბან წყალს სუფთა ადგილზე დაღვრიდნენ, სახლის გარეთ. „ბებია ქალი“ ახალშობილს მაშინვე მიუყვანდა დედას, რომელიც მოანოვებდა ძუძუს. დედას ბავშვი ლოგინში ჰყავდა ორი დღე, ხოლო მესამე დღეს აწვენდნენ აკვანში.

ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა მისი დაბადებისთანავე იწყებოდა. „ბებია ქალი“ ბავშვს ნელთბილ წყალში დაბანდა, ვაჟი თუ იყო, ცოტა ღვინოს ჩაუმატებდა — ღვინის ამტანი დადგებო, გოგონას ვარდისფერი ფერ-უმარულს უსვამდნენ — ლამაზი გამოვო; ერთი თვის განმავლობაში ნაბან წყალს სახლში ღვრიდნენ ახლო-მახლოს ან საწოლის ქვეშ — ავი სული რომ არ დაპატრონებოდა მას. ბავშვის ტანსაცმლის ნარეცხ წყალსაც ერთი თვის მანძილზე გარეთ არ გადაღვრიდნენ, ამბობდნენ: ღამე ცამ არ უნდა დახედოსო.

რაჭაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, განსაკუთრებით უხაროდათ ბიჭის დაბადება. პირველი ფეხმძიმობიდანვე მომავალი დედა იმედოვნებდა, რომ შეეძინებოდა ვაჟი — მემკვიდრე, მამისეული გვარის გამგრძელებელი და მოხუცებულობაში მშობლების იმედი. გოგო რომ დაიბადებოდა, შეიცხადებდნენ ხოლმე, ვინაიდან მამულს სჭირდებოდა, გვარს კი — გაგრძელება უნდოდა. ბიჭის შეძენა იმიტომაც უხაროდათ, რომ რაჭაში უმეტესად მამაკაცის სამუშაო იყო. ბიჭის შეძენას მამას მიულოცავდნენ, ყურებს აუჭიამავდნენ — სიხარულის გამოსახატავად, ხოლო მისი ვაჟკაცობის ნიშნად თოფს ისროდნენ. ადრე საგანგებოდ ზრდიდნენ კურატს 3 წელი და ბიჭი რომ შეეძინებოდათ, სასიხარულოდ დაკლავდნენ. გოგოს დაბადებას მამას არ მიულოცავდნენ, უბრალოდ ეტყოდნენ: არაუშავს, მეორე ვაჟი გყოლოდესო, ასე ანუგეშებდნენ, თუმცა ამ ბოლო დროს ასე აღარ მსჯელობენ და მიაჩნიათ,

რომ ღვთის მოცემული, რაც არის, ერთია. ახლა შეხედულებაც შეიცვალა. ქალი გადარჩეს, ბავშვი სალი დაიბადოს და სულ ერთია, ქალი თუ ვაჟი დაიბადება. მიუხედავად ამისა, ბიჭის დაბადება მაინც განსაკუთრებულად სასიხარულოა მთელ საქართველოში. აი რას წერს მინდია არაბული: „ძალიან გაუხარდა ბაბუაჩემს, რომ უმაღლესში ჩავირიცხე და უფროსი შვილიშვილი ნასწავლი ეყოლება: სხვებთან მისვლა აღარ დასჭირდება სამთავრობო საქმეებზე, მისი ნასწავლი შვილიშვილი მოუვლის თვითონ. მამაჩემს კი შევატყვე, რომ ეწყინა კიდევ. ეწყინა იმიტომ, რომ მუშახელი დააკლდა, ჭირ-ლხინში გვერდზე ამომდგომი კაცი დააკლდა. მანამდეც სულ იმას ცდილობდა, რომ სკოლიდან გამოვსულიყავი და ხვნასა და თესვაში მივხმარებოდი, მასთან ვყოფილიყავი თიბვასა და მკაში, მტრისა და მოკეთის დახვედრაში გვერდზე ვდგომოდი. მაგრამ მეოთხე კლასის დამთავრება მაინც მაცალა — წერა-კითხვას კარგად ისწავლის, თანაც გაიზრდება და ძვალნიც გაუმაგრდება. ამ დროისათვის მართლაც ნამოვიზარდე, ვაჟკაცს დავემსგავსე, დედამ პირველად გამიყოლა სასტუმროს, ხანჯალიც პირველად შევიბი და ლუდის ჭალაც ისე ავიარე, რომ დედაჩემის წინ მივიდოდი, როგორც წესი იყო დახარებული ვაჟკაცისათვის, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მტრისთვისაც უნდა შემექცია და მოკეთისთვისაც. გოგო — კი სირცხვილი და უბედურება. ვაჟის დაბადება იმიტომაც უხაროდათ, რომ მამაკაცი, მათი გაგებით, იყო მუშა ძალა, გვარის დამცველი და გამგრძელებელი. მამაკაცი მიყვებოდა წინაპართა ადათ-წესებს.

ბ. კალოვის გადმოცემითაც, გოგონას დაბადებას უსიხარულოდ ხვდებოდნენ. ბიჭის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ზეიმს ეძახდნენ „Кахцганон“-ს. ამ ზეიმზე იწვევდნენ ნათესავებსა და მეზობლებს (6-196,199). აქედანაც ნათლად ჩანს, თუ რატომ ანიჭებდნენ ბიჭის დაბადებას უპირატესობას. ეს განპირობებული იყო როგორც სოციალური, ისე მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რომელშიც მაშინ უხდებოდა ადამიანს ცხოვრება.

ბავშვზე, რომელიც ქუდა-ბედით დაიბადებოდა, ამბობდნენ ბედნიერი იქნებო. რაჭაში, ბავშვს

ძუძუს დიდხანს ანოვებდნენ, 2 წლამდე მაინც — ბავშვი მაგარი გამოვაო. ბავშვის კვება ნორმირებული არ იყო. როგორც კი მოუნდებოდა ბავშვს ჭამა, დაიწყებდა ტირილს და დედა ძუძუს შეატყობდა, რომ რძე მოადგებოდა — აჭმევდა. ახლაც, ჩვილ ბავშვთა კვების ასეთივე რეჟიმზეა გადასული დედები. უნინ ბავშვები მეტი ჯანმრთელები იზრდებოდნენ.

„ლოგინობის პერიოდი“ რომ დამთავრდებოდა და ქალი წამოდგებოდა, ბავშვის სახელზე აწყობდნენ პურმარილს, რომელზედაც მეზობლებსა და ნათესავებს პატიუბდნენ, აგრეთვე „ბებია ქალსაც“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ოჯახის პირველი და მეტად საპატივცემულო სტუმარი იყო.

ბავშვი ფეხს აიდგამდა წლის ან წლის და ორი თვის. ოჭოჭინაში (ჭოჭიალაში) ჩასვამდნენ და სიარულს კარგად ისწავლიდა. საერთო კვებაზე წლის შემდეგ გადაჰყავდათ, რასაც ოჯახი ჭამდა პატარასაც ყველაფერს აჭმევდნენ.

პირველ ჩასაცემელ პერანგს შეუკერავდა ბებია, დედა ან მოზარდი, ახალი ქსოვილისაგან, მატყლისაგან, მოუმთავრებლად, რაც იმას ნიშნავდა, რომ არც სახელოებს შეუკეცავდა, არც ბოლოს, არც საყელოს, რომ ბავშვი კარგად გაზრდილიყო. მალევე ჩასაცემდნენ, რომ ჩასაცემელები მალე ჰქონოდა.

ბავშვს, ერთი წლის შემდეგ, პირველად თმას შეჭრიდა დედა, შეჭრილ თმას არც გადაყრიდნენ და არც დანვაგდნენ, დედა გამოხვევდა მას ქსოვილში და შეინახავდა, რომ არაფერს წაელო და ბავშვი არ დაბნეულიყო.

პირველ ფრჩხილსაც ერთი წლის შემდეგ მოაჭრიდნენ, დედა ინახავდა ან ცეცხლში ყრიდა. ბავშვი პირველ კბილს რომ მოიცვლიდა, დედა პერანგს გაუხვევდა, კარგად რომ ამოსვლოდა კბილი, მოცვლილ კბილს ნაჭერში გაახვევდა, შეინახავდა ან სალორის თავზე შეაგდებდა და თან იტყოდა: „თავგო, შენი ოქროს კბილი მე და ჩემი — შენო“. ჩვილი სარკეში არ უნდა ჩაახედო, თორემ მშიშარა იქნებაო.

კბილები, თმები და ფრჩხილები, ხალხის წარმოდგენით, შეიცავდა ცხოვრებისეულ ძალას. ეს ძალა, მათი რწმენით, რჩებოდა როგორც შეჭრილ თმაში, ისე ფრჩხილებშიც და კბილებშიც. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველად თმის შეჭრას, ფრჩხილის მოჭრას, კბილის მოცვლას.

რაჭველი კაცი ჩვილ ბავშვს ხელს არ მოჰკიდებდა, ვიდრე არ წამოიზრდებოდა, წლამდე მამაკაცს აკვანშიც რომ ჩაეხედა სირცხვილად ითვლებოდა. ეს წესი და ჩვეულება იყო ჩვენთანო, თქვა გიორგი გოგრიჭიანმა (მთხრობელი), მამაკაცის ავტორიტეტის დაცვა იყო ესო. ვიდრე ბავშვი არ მოიზრდებოდა, კაცს, მამას ხალხისათვის

არ უნდა ეჩვენებინა მისი დამოკიდებულება შვილის მიმართ, განსაკუთრებით თუ ვინმე უყურებდა, ის ერიდებოდა ჩვილ ბავშვთან კონტაქტს, ამაში მამაკაცის სისუსტის გამოხატვას ხედავდნენ.

მეცნიერთაგან მრავალი შეხებია ბედის და ბედისწერის საკითხს, როგორც ა. ცანავა აღნიშნავს: „ხალხში გავრცელებული იყო რწმენა, რომლის მიხედვით ადამიანისათვის არსებობს ბედი, ცხოვრებას არეგულირებს ბედისწერა, რომელიც მას დაბადებისთანავე დაენერება. ასეთივე შეხედულება დასტურდება მსოფლიო ხალხთა მითოლოგიურ გადმოცემებში.

იმის ნათელსაყოფად, რომ ქართული რწმენა-წარმოდგენა მსგავსია მსოფლიო ხალხთა რწმენა-წარმოდგენისა, შეგვიძლია დავასახელოთ ზღაპარი „მძინარე მზეთუნახავი“, 14 წლის ასაკში ხელში თითისტარი შეერჭოს მეფის ასულს და მოკვდეს“ ფერიებმა სიკვდილი დაძინებით შეუცვალეს, მაგრამ მთლიანად ვერ ააცდინეს ბედისწერას...

მსგავსი სიუჟეტები ყველა ერის ზღაპრებშია გავრცელებული და ქართული ზღაპრებიც მდიდარია ამ მხრივ. ხალხური ბედის „წერა-მწერალთა“ რწმენა ზოგადი მითოლოგიური ცნობიერების ერთი ნაწილია.

ამირან არაბულის წერილი „წერა-მწერალნი“ საინტერესოდ წარმოადგენს ბედისწერის შესახებ ხალხური წარმოდგენის წარმომავლობის საფუძველს: „პროვიდენციალური თვალთახედვა, რომელიც ბედისწერულობით და განგებისმიერობით ხსნის ყოველივეს, ერთობ რელიგიურად არის გამჟღავნებული სპონტანური სიბრძნისა და სისადავის ურღვევი ნიშნით აღბეჭდილი მრავალსაუკუნოვანი ხალხურ სიტყვიერებაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში, მოკიდებული ანტიკური ხანიდან, ვიდრე ჩვენს დრომდე.

კაცობრივი ძალმოსილების მიღმა ნაგულვები ირაციონალური ძალების უეჭველი არსებობის რწმენამ მიიყვანა თავისი ბუნებით ნაკლული, უსრულო და ყოვლისშემძლე მოკვდავი ბედისწერის აღიარებამდე“.

ბედისწერის რწმენა კარგად მოჩანს სააკვანო სიმღერებსა და იავნანებში. ტკბილი ლულუნი, ვარდყავილების მოფენა, ფერადი ქვების ხსენება. ასევე, დალოცვა-სადიდებლები ახალდაბადებული ბავშვისა და საფერხულოები მიერმართება ბედის წერა-მწერალთ და მათი გულის მოგებას ცდილობს.

„ნანა, ნანა, ნანა, ნანა
ნანა ნანას გეტყვიანა,
მტრედნი ღულუნებდიან,
ანგელოზებ მღერეან,
დაიძინე, დაიძინე
თეთრი ბედი შაიძინე“.

„თეთრი ბედი“ უპირისპირდება „შავ ბედს“, აქედან წარმოსდგა „ბედ-შავი“ — ბეჩავი...

ამგვარი ტექსტები მრავლადაა და ნათელი მომავლის სურვილს, ლოცვას გამოხატავს.

შელოცვებში, ანდაზებსა და გამოცანებში „ბედი“ წარმოსდგება ბავშვებისათვის გულისმოსაგებ არსებად, სრულდება ბედის გამოთხოვა, ფაქტობრივად, ბედის „შახვეწა“, ბედის „დამწყალობა“:

„ქე ვარ ბედი ბედნიერი,
ტურფა სახე მშვენიერი,
ამოვალ ვერცხლივითა,
დაჯჯდები ცეცხლივითა“.

ბედის „წერა-მწერალთა“ ფუნქცია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და ხალხურ ყოფაში (ეთნოლოგიური მასალის საფუძველზე) უახლოვდება ბატონების ფუნქციას და ახალშობილის საძებო რიტუალებსა და სადიდებელ ტექსტებში, ნეს-ჩვეულებებსა და ფერხულებში, სააკვნო სიმღერებში დასტურდება მათდამი „მოფონების“, ანუ გულის მოგებისა და მოფერების სურვილი, ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ლექსიკური მარაგი, ეტიმოლოგიური წიაღსვლები: ერთის მხრივ, ბედ-სვიანობა — სვე-ბედიანი — ბედ-სვიანი და ა.შ. მეორე მხრივ, ბედ-კრულობა — უ-ბედ-ური, ბედ-შავი (აქედან ბეჩავი) უ-ბედ-ო, ბედ-კრული და ა.შ.

ცალკე საკითხია ბედის „წერა-მწერალთაგან“ დაბადებისას განსაზღვრული მომავალი საბედო, ცხოვრების თანამგზავრი, რომელთანაც უნდა იყოს ასევე დაკავშირებული ქართული ხალხური ტრადიცია აკვანში დანიშვნას...

რწმენა იმისა, რომ ვისაც ბედის „წერა-მწერალი“ დაუნესებენ საბედოდ, მას მაინც ვერ ასცდება, ზემომოხმობილ ეთნოლოგიურ მასალაშიც ჩანს.

აკვანში დანიშვნის წესი უნდა მივიჩნიოთ ბედის „წერა-მწერალთა“ მორჩილების გამოხატულებად...

დაქორწინების დაგვიანება ქალისა და ვაჟისათვის „მორჩილების“ აუსრულებლობის შედეგად არის გააზრებული, რასაც კარგად გადმოსცემს ორი ამგვარი შესიტყვება: „ბედის შეკვრა“ და „ბედის გახსნა“.

მეუღლეობა — ერთი უღლის ქვეშ შედგომა, ერთი წრის არეში დადგომა, სახლი და ოჯახი ერთ-ერთი წრეა, ხოლო მის გარეთ ყოველივე წარმოდგენილია უცხოოდ, არაშინაურად, წრის გარე-სამყაროდ...

...„ბედის შეკვრა“ და „ბედის გახსნა“ — ძაფისა და გორგალის გადანასკვადაც წარმოდგება, როგორც ეს შელოცვების რიტუალებში დასტურდება.

ყველა წარმოდგენით, „ბედის გახსნა“ და „შეკვრა“ „წერა-მწერალთა“ სურვილსა და ნებას უკავშირდება.

საინტერესოა ბედის „წერა-მწერალთა“ ერთგვარი მოტყუების, ტაბუს დადების, მსგავსი ახალშობილის ყიდვის, გაჩუქების, გაძიძავების ხალხური ტრადიცია. როგორც ნამდვილი სახელი არ წარმოითქმება და ბევრი სხვა სააღერსო თუ საქილიკო სახელით, სახელთა აღმნიშვნელი (მგელიკა, ვეფხვია, ლომა, სხვისია და ა.შ.) სახელწოდებებით მოიხსენიება ადამიანი, რათა ავითვალისა და ეშმაკეული ძალისათვის რომ ძნელად მისაგნები იყოს, ასევე „წერა-მწერალთაგან“ ავისმოსურნეობის თავიდან ასაცილებლად, ამგვარ „წერა-მწერლებს“ ქართულ ხალხურ ყოფიერებაში.

ბედის „წერა-მწერალთა“ კეთილმოსურნეობას, ხალხის რწმენით, განაპირობებს კოსმიური და ასტრალური სამყარო (მზე, მთვარე, ვარკვლავები), ასევე წელიწადის დრო, ამინდი, დღესასწაულები, ის დრო-სივრცე, სადაც იბადება ბავშვი.

საინტერესოა „ბედის ვარსკვლავის“ საზრისი, რასაც უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი დღემდე მოჰყვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში; ბავშვი დაიბადება თუ არა, ცაზე მისი ვარსკვლავიც ჩნდება, ეს ვარსკვლავი ქრება, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება...

როგორც თ. სახოკია წერს: „ყოველ ქალს, ვისაც დროებით ძუძუ უწოვებია გაზრდილისათვის, შემდეგში უფლება აქვს დაიჩემოს ნათესაობა მისსა და მის დროებით გაზრდილ შორის, რადგან ამ უკანასკნელმა ამ ქალის ძუძუს კბილი დაადგა; აქ მთავარი მნიშვნელობა აქვს თვით კბილის დადგმის ფაქტს“.

ქალს თუ ბევრი რძე ჰქონდა, გამოიწველიდა და ზედმეტ რძეს უსათუოდ ნაცარში შეაქცევდა, სხვაგან არ შეიძლებოდა. აქაც ბავშვის ტირილი საყურადღებოა, რამდენჯერაც იტირებდა, იმდენჯერ აწოვებდნენ და ხშირად იგი ძუძუზე იძინებდა. კვების ასეთი რეჟიმი დასტურდებოდა თითქმის მთელ საქართველოში.

აკვანი, როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, რაჭაში, დედას ჩვილი ლოგინში ჰყავდა ორი დღე, ხოლო მესამე დღეს აწვენდნენ აკვანში. ბავშვისათვის წინასწარ არაფრის ყიდვა არ შეიძლებოდა, ამიტომ აკვანი მისი მასალა მონყობილობით მხოლოდ მესამე დღეს მოჰქონდა ქალის მშობლებს, ე.ი. სახლობას, თან მოჰქონდათ ძღვენი.

ბავშვს პირველად აკვანში გამოცდილი შინაური ქალი, დედამთილი ან „ბებია ქალი“, უმეტესად „ბებია ქალი“ აწვენდა ხოლმე, თავქვეშ სალაფავს დაუდებდა ლამაზი თავის ფორმა რომ ჰქონოდა. პირველად ბავშვის აკვანში ჩაწვენის დროს „განატებს“ გამოაცხობდნენ და თან სანთელს

დაანთებდნენ. „ბებია ქალი“ დალოცავდა ბავშვს ტკბილი ძილი და მოსვენება რომ სხვადასხვა კაკულებს, სათვალეს — ჯვარს, ქარვას თავქვეშ დანას უდებდნენ — ყველაფერი ეს ავი თვალის სანინააღმდეგოდ იყო საჭირო. ბავშვთან პირველად რომ შევიდოდა ვინმე აკვანში ფულს ჩაუდებდა.

როდესაც სამკალში მივდიოდით — ამბობს მთხრობელი — აკვნიანი ბავშვი ბეჭზე შედგმული თან მიგვყავდა. აკვანთან კონების წრეს დავდგამდით და მის ჩრდილში — აკვანს.

ბავშვის საბანშიც და ლეიბშიც ბამბას ვდებდით, ლებქვეშ — ჩალას, როგორც ჩანს უფრო ადრე ბავშვის ლეიბში ჩალას დებდნენ — ბავშვს ნაკლები ოფლიანობა და სწორი ტანი ექნებოდა.

მამაც და ბაბუაც ხელოსნები იყვნენ, ადრე ბაბუაჩემი ბალახ საროსაგან ახდენდა ხის დამუშავებას. ხე რომ არ გახეთქილიყო, საროს ძირს მოხარშავდნენ, წაუსვამდნენ ხეს და აღარ დასკდებოდა. ახლა მას აღარ ვხმარობთ და მზესუმზირის ზეთს ვუსვამთ.

აკვნის დასამზადებლად ყველა ფოთლოვანი ხე გამოიყენებოდა. აკვნის სიგრძე 90 სმ-ია, ახლა აკვანს იშვიათად ყიდულობენ, ვინაიდან სარწვეველა აკვანს ხმარობენ და აძლევენ უპირატესობას, სადაც ბავშვის არტახებით ჩაკვრა გამოორიცხულია. აკვნის ლეიბში ადრე ქერის ჩალას დებდნენ, ზემოდან კი ბამბის ლეიბს აფარებდნენ. აკვნის შემადგენელი ნაწილებია: გარა, ბურთულებით დამზადებული რკალი, ოთხი ქვედა გარა, რიკულები, საგორავი.

ჩვეულებრივ, ბავშვები ფეხს იდგამენ 9-10 თვის ასაკში, მაგრამ გამოკითხვით დასტურდება, რომ აკვანში გაზრდილი ბავშვი შედარებით გვიან, წლინახევრისა სწავლობდა სიარულს.

ბავშვის ფეხის ადგმის დროს, გამოიყენებოდა ქოჭინა. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით ქოჭინა ჩვილთა სატარებელს ნიშნავს.

ბავშვი პირველად რომ გაივლიდა ფეხზე მას ბებია ასე დალოცავდა: მინა მაგარი, ცა მაგარი, ღმერთო, ჩემი ბავშვი გამიხადე მაგარიო. ფეხის ადგმის შემდეგ, ბავშვს სასიარულოს უკეთებდნენ და დროდადრო შიგ სვამდნენ, სიარული რომ კარგად ესწავლა.

აკვანში მწოლიარე ბავშვს დედა ნანას უმღერდა, რაც სააკვნო სიმღერების სახელითაა ცნობილი. თ. მამალაძე წერს: „დადგენილად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კავკასიის ხალხებში არსებობდა ქართულის შესატყვისი ორი სხვადასხვა ხასიათისა და ფუნქციის მატარებელი სიმღერა. პირველი წარმოადგენდა საოჯახო-საყოფაცხოვრებო ლირიკულ სიმღერას — აკვნის ნანას, მეორე კი იყო საწესო ხასიათის სიმღერა — ბატონებით, ავადმყოფთან შესრულებულ რიტუალთან დაკავშირებით.

ყველა დედა უმღერდა თავის შვილს და შეიძლება ითქვას, რომ „იავნანა“ ხალხური აღზრდის უდიდესი მიღწევა იყო. „იავნანა“-ს ტექსტი სხვადასხვა იყო მაგრამ იგი ემსახურებოდა ერთ მიზანს — ბავშვის სწორად და კანონზომიერად აღზრდას.

მოვიყვანთ ერთ-ერთ მაგალითს:

რატული იავნანა

იავნანა, ვარდო, ნანა,
იავნანინაო,
ჯერ არ გათენებულაო,
იავნანინაო,
ვარსკვლავები ამოსულა,
იავნანინაო,
მთვარე შეშინებულაო,
იავნანინაო,
ძილი მოქვთ გულითაო,
იავნანინაო,
ამას ჩემს კმაწვილს მიუტან,
იავნანინაო,
თვალეებს გავუვსებ ძილითაო,
იავნანინაო,
დაიძინე, გენაცვალე,
იავნანინაო,
მთვარე შეშინებულაო,
იავნანინაო.


ბავშვისთვის სახელის შერჩევა მნიშვნელოვანი იყო და დიდი ყურადღება ჰქონდა მინიჭებული, ვინაიდან მას ამ სახელით უნდა ეცხოვრა და ემოღვანა თავისი ცხოვრების მანძილზე. რაჭაში, ბავშვს სახელს დაარქმევდა ოჯახის უფროსი, მშობელი ან მღვდელი. იცოდნენ ბებიის ან ბაბუის სახელის დარქმევა — სახელი რომ არ დაკარგულიყო. ქართლში, სახელს მამა ან მამული არქმევდა. აჭარაში, დედა ან „ბებია ქალი“.

რაჭაში ბავშვს ნათლავდნენ დაახლოებით წლინახევრისას, ნათლიებად ჰყავდათ ის, ვინც ქორწილში მეჯვარე იყო. ესენი იყვნენ და-დი-ანი და ძმა-დიანი. რაჭაში მღვდელი ნათლავდა ბავშვს ეკლესიაში. ამბროლაურში, კერძოდ, ჭყვიშში, იყო მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია, სადაც ნათლავდნენ ბავშვს. ნათლიას ნათლულისთვის უნდა მიეტანა ტანსაცმელი, ძღვენი, რისი საშუალებაც ჰქონდა და ჯვარი აუცილებლად. საპასუხოდ, ნათლულს აღდგომას აუცილებლად გაუზღავნიდნენ - ძღვენს, ჩასაცმელს, პერანგს, წინდას, ცხვირსახოცს.

ნათლია თუ გარდაიცვლებოდა, სამაგიეროს იმავე ოჯახიდან აიყვანდნენ და გააგრძელებდნენ ნათელ-მირონს.

ნათელა კაპანაძე

/სტილი დაცულია/



პირველად იყო სიტყვა... სიტყვა, რომელმაც სამყაროს ჟღერადობა შესძინა. ფესტიკულაცია სიმფონიად აქცია და მძივებად აკინძული ხმოვანი ბგერებით მიმოფინა სამყაროს. 17 მაისს ბათუმის საოპერო სცენაზე სიტყვისა და ქორეოგრაფიის ზეიმი გაიმართა. თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე კალმოსნის გივი სიხარულიძის რიგით 22-ე წიგნი საჯაროდ განიხილა მკითხველმა, რომელიც მწერალმა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის გამორჩეულ ვარსკვლავოსან თემურ ბიბილეიშვილს და ანსამბლ „ხორუმს“ მიუძღვნა.

წიგნი ლამაზად აკინძული ნოველების კრებულაა, რომელიც ქორეოგრაფის, თემურ ბიბილეიშვილის ცხოვრებისეულ დეტალებზეა აგებული.

ვინ არის თემურ ბიბილეიშვილი და რატომ გადაწყვიტა მწერალმა მასზე წიგნი დაეწერა.

მაშ, ასე! ქართული ფოლკლორული ცეკვის უკვდავსაყოფად არის შექმნილი ბატონი თემურ ბიბილეიშვილის პიროვნება, მისი შემოქმედება ეროვნული საგანძურის ხელთუქმნელი ნიმუშია, „ქორეოგრაფია ჩემი ცხოვრების აზრია“ - ამბობს მაცესტრო. ასეა სწორედ, მან თავის პიროვნება ცეკვის ფენომენს უძღვნა, შექმნა ცეკვის საალმზრდელო-დიდაქტიკური სტუდია, ახალგაზრდების სანვრთნელი კერა, სადაც ქართული, მგზნებარე, პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი თაობა იზრდება.

უკიდევანოა მისი შემოქმედებითი არეალი. „ხორუმმა“ მთელ მსოფლიოს გააცნო ქართული კულტურა, ისტორია და ეთნოგრაფია.



წიგნი, რომელიც ხელთ გიპყრიათ, სწორედ ბათუმის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელისა და მთავარი ბალეტმეისტერის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს.

წიგნის შექმნის იდეა კი თავად მწერალს, გივი სიხარულიძეს ეკუთვნის. იხილა რა ბატონმა გივიმ ბათუმის სახელმწიფო თეატრში ანსამბლ „ხორუმის“ მიერ გამართული საანგარიშო კონცერტი, აღფრთოვანება ვერ დაფარა, კონცერტის დასასრულს სცენაზე ავიდა, ანსამბლის ხელმძღვანელს, ბატონ თემურ ბიბილეიშვილს მადლობა გადაუხადა და მისი თოთხმეტწლიანი შემოქმედების ერთ წიგნად თავმოყრა და გამოცემა შესთავაზა. აი, ასე მივიღეთ ნოველების ულამაზესი კრებული, მცირე ეპიკური ჟანრის პროზაული ნაწარ-


წიგნის განხილვა

რმობები, რომელიც ასახავს ერთი ადამიანის - თემურ ბიბილეიშვილის ცხოვრების ეპიზოდებს, გარკვეულ დროსა და ასპექტში. თითოეული ნოველა ხასიათდება მარტივი სიუჟეტით, პერსონაჟთა სიმცირით, სადაც ძალზედ შეკუმშულადაა ნაჩვენები ყოფითი დეტალები. გარემო, ხასიათის ფორმირების პროცესი. მწერალი ნაკლებად იყენებს აღწერით მომენტებს. აქცენტი გადატანილია მოვლენების რომელიმე ერთი მხარის, ბატონი თემურისა და ანსამბლ „ხორუმის“ შემოქმედების წარმოჩინებაზე, რაც განაპირობებს თხრობის ლაკონიზმს და მოქმედების ექსპრესიას. თითოეული ნოველა კომპოზიციურად იმდენად კარგად არის შეკრული, რომ კვანძის შეკვრა და გახსნა სწრაფად ხდება. ფინალი, ხშირად მოულოდნელი შედეგით ხასიათდება, რაც მკითხველის განსაკუთრებულ ემოციას იწვევს.

წიგნში გადმოცემულია თემურ ბიბილეიშვილის ქორეოგრაფიული გაკვეთილების ოქროს შუაღმის, რაც ერთგვარი სახელმძღვანელოა დამწყებ ქორეოგრაფთათვის. აქვე იხილავთ კონცერტების ფოტოგალერეას, გაცნობით ანსამბლის მეგობრებს, სტუმრებს და წარმატებებს.

წიგნი აინყო და დაკაბადონდა „ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობაში“, რედაქტირებაც თქვენს მონა-მორჩილს, ნინო რეხვიაშვილს ეკუთვნის.

წარმატებას ვუსურვებთ ავტორს, ბატონ გივი სიხარულიძეს, რომელსაც პროექტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ახალ ჟანრის — „ქალაქური ნოველები“ ნოვატორად აღიარა. მან შექმნა პრეცედენტი თანამედროვე ქართულ პროზაში — პიროვნებების



**„ქართული ცეკვის დიდო მაესტრო, შენს დაბადებას აღბათ ოლიმპზე ღმერთი დაესწრო“.
გივი სიხარულიძე**

ბიოგრაფიული შტრიხები ნოველებად შეთხზა და მკითხველის სამსჯავროზე გამოფინა.

მსოფლიო მნიშვნელობის ბარიტონის, ლადო ათანელის შემდეგ, როგორც ვნახეთ მისი კალმის ტყვეობაში ქორეოგრაფი თემურ ბიბილეიშვილი მოექცა. მრავალი შედეგრი გაქვთ შესაქმნელი, ბატონო გივი, აფერუმ თქვენს კალამს, მრავალჯამიერ!

წიგნის განხილვის შემდეგ გაიმართა ანსამბლ „ხორუმის“ საზეიმო კონცერტი.

ნინო რეხვიაშვილი



მონადირე თემური

ცეკვა თემურის ცხოვრებაა, ნადირობა კი ჰობი, ჰობი წარსულის — დღეს მის არსში გაცოცხლებული, არსი კი შემოქმედებაა, მუზაა უშრეტი და ბობოქარი, რომელიც კიდით კიდემდე სწვდება სამყაროს.

სწორედ რომ მონადირის თვალთ სჭვრეტს თავის თითოეულ ილეთს, მიხვრა-მოხვრას და მანერას. თემური ხშირად მდგარა გემბანზე გარინდული, ფრინველთა ფრენას დაჰკვირვებია და მათი მოძრაობები თავის ოქროს შემოქმედებაში დაუნერგავს. ამიტომ არის, რომ მაყურებელი მის მოცეკვავე ვაჟებში ხან არნივისებრ შემართებას ხედავს, ხან მათ სასწაულებრივ მოძრაობებს მიმინოს და ქორის ზეციურ ფრენად აღიქვამს, გოგონების ნაზი და დახვეწილი ნარნარი კი ტბაზე ყელმოღერებული გედების სრიალს წააგავს. ხან ალაზნის ქალებიდან აფრენილ დედალი ხობების ამოფრთხილებას შეიგრძნობ, ხან ზღვის დესპანის, თოლიების ფრენა დაგიდგება თვალწინ, რომლებიც თითქოს და თავის სევდიან ფიქრებს ნაპირისკენ მიაქროლებენო.

— ეს ყველაფერი ერთად კი თემურ ბიბლიე-შვილის სამყაროა, უშრეტი წყარო შემოქმედებისა, საიდანაც უამრავი ბავშვის წვრთნა და დაფრთხილება ხდება. წყარო, რომლის ჩუხჩუხის ხმა შორს, მთელ მსოფლიოში ისმის და მისი მჩქეფარე მუზის არ იყოს, დაშრობა არასდროს უწერია.

როჭო

ერთხელ თემური სანადიროდ წავიდა. მალღა, კლდოვან ადგილებში მოუწია ასვლა. შემოაღამდა. ხედავს როჭო მოფრინავს. როჭო, რომელიც დღისა და ღამის გასაყარზე ეშვება ბარად და ეს დაშვება იმდენად ძლიერია, თვითმფრინავით ჩაგიქროლებს თვალწინ და ისეთ ხმას გამოსცემს, გეგონება სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებულ მუსიკას ისმენო. შემოქმედი კი რის შემოქმედი, რომ ეს სასწაულებრივი მოვლენა ყურადღების მიღმა დაეტოვებინა. ასე ჰპოვა ასახვა ცეკვის დიდი მაცხტროს შემოქმედებაში როჭოს ფენომენმა. თემურის მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილი როჭოსეული მუსიკა მისი ნახაზიდან გამომდინარე რეპერტუარის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად იქცა. უძლიერესი ვაჟების ცეკვას როჭოს შლეგი მოძრაობა ადგას გვირგვინად, ხოლო მისი ფრთების მოძრაობით გამოწვეული ხმათა სიმფონია კი მაყურებლის შთაგონების წყაროდ იქცა,

რაც იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი ხელოვანის ნიჭი მრავალნახნაგოვანია. თემური გარდა ქორეოგრაფობისა, მახვილი სმენითაც გამოირჩევა და ბუნების სასწაულებრივ მოვლენებს თავის შემოქმედებაში ანვითარებს.

ლილი — შამოქმედების მუზა

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ესპანელი მხატვრის სალვადორ დალის მუზა რუსული წარმოშობის ქალბატონი გალა გახლდათ, რომლის სიყვარულშიც მხატვარი სიცოცხლის ბოლომდე იწვოდა, გალა მისთვის უკვდავება იყო. ყოველი დიდი ხელოვნება მუზების გარეშე წარმოუდგენელია. თემურ ბიბლიეშვილის მუზა, ქალბატონი ლილი, გალასგან განსხვავებით მხოლოდ მისი შემოქმედების მუზაა და სხვა არაფერი. მუზა, რომელიც თემურს შემოქმედებით სანყისებზე გამოუგზავნა უფალმა და ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა მასთან ერთად გაიზიარა. როგორც ბატონმა თემურმა მიამბო, საქართველოს ძნელბედობის ჟამს, როცა ქვეყნად უღენობა, უწყლობა და შიმშილი მძვინვარებდა, ქალბატონი ლილი თავის შემართებითა და ენერგიულობით ჯარასავით დატრიალებდა გაყინულ სარეპეტიციო დარბაზში და მოცეკვავეებს შრომის წყურვილით ალანთებდა, მისი ქმედება ამოფრქვეულ ვულკანს ჰგავდა, სადაც ძალას, ენერგიას და საქმის სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგება. ლილის წყალობით დარბაზი ყოველი კუთხით სანთლებით ნათდებოდა, თავად კი, ორი სანთლით ხელში იდგა დარბაზის შუაგულში და კელაპტარით იწვოდა მისი სული და შემართება.

ერთხელაც საქმით გართულს სანთლები ხელში ისე ჩაუდნა, რომ ვერაფერი გაიგო. ბატონმა თემურმა დამწვარი ხორცის სუნი იგრძნო, მივარდა, იქვე წყლით სავსე დოქს დასწვდა და ხელებზე გადაასხა. კანმა შიშხინი დაიწყო. მაშინ კი, ლილის ქალურმა სისუსტემ სძლია და გული წაუვიდა.

როგორც თემური ამბობს, ლილი საქმისთვის თავდადებული ადამიანია. თუ საქმეს სჭირდება, ასე უნდა იყოს და მორჩა! იმას აუცილებლად შეძლებს. მისთვის ნებსით თუ უნიბლიედ ნებისმიერი ჩინოვნიკის კარი ღიაა, ის ყველა გზას მიმართავს მიზნის მისაღწევად. დასჭირდება? — ფანჯრიდან შევა, ფანჯარას ჩაუკეტავენ? — ჭერიდან თოკით ჩავა და საქმეს მაინც გააკეთებს.

ლილი სწორედ, რომ თემურ ბიბლიეშვილის შემოქმედების ღერძია, მუზაა, მისი სიძლიერეა.



მურმან ლუბანიძე

„ვოი“

გურამ თიკანაძეს

ვოი!
რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი!
რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ -
ეინულის ლოგინში!

ვოი! კალა-უმკული შეკრებილა,
ვოი! ენას და სათიბს მომცდარა.
მთელი სვანეთი შეკრებილა,
მთლად საქართველო შეკრებილა,
შხარასთან ღრუბელივით მომდგარა-
ვოი! შხარა სისწლით შედებილა -
კოხტა თიკანაძე მომკვდარა!

ბექნუ სერგიანს და ბექნუს ლომებს
გურამის ნემტი უჭერთათ ხელში,
ბექნუ სერგიანს და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასწრიათ ეელში...

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია, -
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
საკუთარ ხელით ზალო დაუგია,
საკუთარ ზალოზე მომწუდარა-
ცოცხლისგან საევედური აუგია -
თოკი - ერთადერთი ჩაუბია,
თავი - სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო! სიმამაცით მომკვდარა!..

ბექნუ სერგიანს და ბექნუს ლომებს
გურამის ნემტი უჭერთათ ხელში,
ბექნუ სერგიანს და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასწრიათ ეელში...

- „ხოჩა საკაცე გამითალეთ,
დავაწუო სორცი და ძვალი!
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ
აღმართში - კუნესით ამიტანეთ,
ვაკეზე - მითხარით ზარი!..“
უმკული გამოვარდა ივდითი ნიქარაძე,
მეჭკივლა, გაიკაწრა ლოყა,
ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი
საკაცეს ფეხდაფეს მოჭყვა:

- „თეთრულმა რა მოგცა?! უშბაზე რა კეონდა?!
შხარაზე რა გინდოდა, კმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგეონდა -
რამ დაგაზატარავა, მვილო?!“

ასი ცხენოსნით უშკული ვასლავს
და ბეჭზე მიღევს შენი საკაცე-
შენ დაკეუფლა ძილი და დაღლა,
შენ დანახარჯი უკვე დანარჯე-
შენ გაიეღვე ღრუბლებზე მალა,
შენ საქართველოს დამე განასე-
ასი ცხენოსნით უშკული ვასლავს
და მიტივტივებს
შენი საკაცე...

ვოი!
რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი!
რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ -
ეინულის ლოგინში!

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, გურამი მომკვდარა-
ცოცხლისგან საევედური აუგია,
ჩაუქი - მკვდარიც ჩაუქია!
ვარსკვლავი
ვარსკვლავებს მომწუდარა!

1964 წ.

ზაად რიკვიდაძე

უსმინე ჭანჭანს

ვუმღანი „რაჭველების“ რედაქტორს და დამფუძნებელს

რაჭაში ვზივარ მტირალი, ბანს მამღვეს კავკასიონი,
 ფანის მთებიდან ჩამოდის ონში ქაფქაფა რიონი,
 თან მოაქვს დროშა ქრისტეს ჯვრის, წარწერით ენა, მამული,
 კავკასიონმაც გაშალა გორგასლის დროშა ქართული.
 ღებში მაცხოვრის ტამართან ქვე ამოიდგა ენაო,
 ღები, ჭიორა ჩაკონა, გულში ჩაიკარა ვეველო,
 სრულად დალოცა ქართველნი, გაუდიდა რწმენაო,
 გლოლას მოკითხვა გაგზავნა, სვანეთს მიაწერო მხერაო.
 სამჯერ დაიწერს ჰირჯვარსა, ასჯერ სიკეთის მდომარსა,
 მთელს საქართველოს ავედრებს უფალს ზეცაში მჯდომარსა,
 ხანდისხან ფრენით წამოვა, დაემსგავსება ძერასა,
 თვალბეზვ ცრემლებს შეიშრობს, გალობას იწვევს კელათსა.
 ნასოფლარები ატირდნენ, კაცი არ ცხოვრობს გონაში,
 თამარის ნატერფალები დღესაც ატეკია გლოლაში,
 ჭანჭანს ატირებულა, დაკლებულივარ წონაში,
 დედა სამშობლო იცვლება ოქროს, ლარსა და დოლარში,
 გელათში სიმებ-აშლილი, ტირის აკაკის ფანდური,
 ფანის მთამ ოქრო შესწირა, ღმერთო ამიწვევ მამული,
 ერთი სიმიც რომ მოაკლდეს, მაშინთვე უნდა შველაო,
 სამშობლო დამიქუცმაცეს, მეც ამოვიდგი ენაო.
 ჰეი, ქართველთა შვილებო, გვეძახის ჩვენი მამული,
 ნიკოფსით დარუბანდამდის, დატევევებული, დანრული,
 უნდა მივხედოთ ამ მიწას, ჰირში სული გვაქვს სანამდის,
 უფლის მეორედ მოხვლამდის, უფლის მეორედ ნახვამდის.
 ამ ქვეყნად მხოლოდ გამოცდას აბარებს ადამიანი,
 გვაში აქ რჩება მიწასა, სული ღმერთს სამართლიანი,
 გამუდარებით გორგასლის, ცხენს ნუ შეახსნით აღვირსა,
 ქართველის დედაზე თალხის ფერს, ნუ შემოახვევთ მანდილსა.

12. 05. 2016

მიწას ტკბილსა და რძიანსა

სიზმარი ენახე, ტარიელს ვეფხვის ტეავს ხდიდა ობამა.
 ღმერთო, მოხედე ტარიელს, ეს გთხოვე შენმა მონამან.
 ნესტანი გამხეცებული, ხმალს უსინჯავდა ტედომასა.
 ღმერთო მოხედე ქართველებს, ეს გთხოვა შენმა მონამან.
 სამშობლო მიუვარს ვერ დავთმობ, სამშობლოს ქართლოსიანსა.
 სამშობლოს ჩემსა ბედგრულსა, ქრისტეს ჯვარს სამართლიანსა.
 დავითის მონათესავის ღვთისმშობლის რჩეულიანსა.
 ლექსს კი არა ვწერ, ვტირივარ, სამშობლოს ბავრატეანსა.

ანდრია ჰირველწოდებულს, ნინოს ვაზისა ჯვრიანსა.
არმაზის ხევის მშვენებას, მირიანს გვირგვინიანსა.
მეორე იერუსალიმს, მცხეთას ჯვრის მონასტრიანსა.
მიწას წუთი-წუთს სატირალს, გმირების საფლავიანსა.
ქრისტესთვის ქალსა წამებულს, შუშანიკს ცურტავლიანსა.
თბილისისათვის ტორსე მდგომს, ბედაურს გორგასლიანსა.
აღმაშენებლის ქვეყანას, დიდგორს ღვთის ნაწილიანსა.
დიდ საქართველოს მეფე ქალს, სულმნათსა თამარიანსა.
ოსის ქალს, თამარის მშობლებს, ბურდუსან დედოფლიანსა.
თამარის თანამეცხედრის დავითსა ოსეთიანსა.
მარტოფის ველის რაინდებს, მოურავ გიორგიანსა.
სამას არაგველს გადამრჩენს, მეფისა ერეკლიანსა.
ზღვისპირეთს მოძმე აფხაზეთს, ედემსა სვანეთიანსა.
გერგეთის სამების ტაძარს, ჩრდილოეთს უახზეგიანსა.
ალავერდს მთაში აზიდულს, ტაძარსა იბერიანსა.
ქართველ ვაჟკაცთა მშვენებას, ხელაშვილს ხეუსურიანსა.
ასიათასსა მოწამეს მტკვარსა სისხლიანს, მტრიანსა.
ჩარგლის მიწასა ჩაკოცნი, ნაწრთობსა ფშაველიანსა.
სამშობლოსათვის დაღუპულს, ვაჟკაცებს სახელიანსა.
ვარძიის ციხე ქალაქში, სატს რჩეულს ღვთისმშობლიანსა.
შასის ბრძანებით ნაწამებს, ქეთევან დედოფლიანსა.
ცხრა მძასა ხერხეულიძეს, დაცემულს მარაბდიანსა.
ბავრატოვანთა საფლავებს, არტანუჯს ხანძთელიანსა.
ქართველ გენერალ სიმუსსა, იოსებ სტალინიანსა.

25.04.2016



ასე აღიდგინენ...

მიშველა და მოედანი, ქვაციხეს წვერი მაღალი,
რაჭველ მწვემსებთან ასულა მეფეთა მეფე თამარი,
აქეთ ტბა გადაუშვია, იქეთ ქვა უშენებია,
საფერიცვალოს კორტოსზე ციხე აუშენებია.
რაჭაში ჰეავდა რქოსანი, არ ითვლებოდა თხა ცხვარი,
მთელ საქართველოს ინახდა ეს ერთი მუჭა მთა-ბარი.
რამდენჯერ ჩამიკოცნია, ეს მიწა ტკბილი, რძიანი,
ხელუსლებელი მტრისაგან ლამაზი, მშვიდობიანი.
ღმერთს მაღლი გადმოეფინა, მსე-მთვარემ ნახეთ თამარი,
მსე-მთვარემ ნახეს თამარი, მსემ შემოიხსნა ქამარი,
მთვარემ ჰირგანათებულმა გადაიფარა საბანი.
მსე-მთვარე შენა ეოფილხარ, ორივე ერთად თამარი.
ღმერთი გაკვირდა, დაფიქრდა, გამოუწერა წამალი,
რაჭის მთებიდან ზეცაში გადაიყვანეს თამარი,
ცაზე ორი მსე ანთო, მეორე იყო თამარი,
რაჭა მთლიანად ძღეროდა, ეცეკვებოდა მთა-ბარი.

სიკეთის ბთხველი



როსტომს დიდი ხანია ვიცნობ, სტუდენტობიდან; ჭირი და ლხინი ერთი გვაქვს. თავმდაბალი კაცია, არ უყვარს თავის ქება, ამიტომაც, მოზომილად თავმდაბლობით და პატივისცემით მინდა მოვეფერო.

მასთან ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს, დაცულად, არა მარტო მე, მისი ოჯახი, სანათესავო და სამეგობრო, მისი ნიჭიერების წყალობით.

რაჭა არასდროს განიცდიდა ნიჭიერი ადამიანების დეფიციტს, ბევრი სახელოვანი შვილი ჰყავდა და ჰყავს. დიახ, კონკურენცია მძაფრი იყო, მაგრამ, ამ პირობებშიც როსტომი გამოირჩეოდა ფოლკლორის ცოდნით, ენერგიულობით, პატრიოტული სულისკვეთებით. რაჭაზე და რაჭველებზე შეყვარებული, სიმღერისა და ლექსის დამფასებელი, გემოვნებიანი შემსრულებელი. მინდა, ვისაუბრო ადამიანზე, რომელსაც მეგზურად მეგობრობა, თავდადება, სიალალე, პატიოსნება დაუსახავს, სინდის-ნამუსი გაუხდია გზად და ხიდად. 23 ივლისს 70 წელი შეუსრულდება... ეს მხოლოდ მრგვალი თარიღი არ არის, როსტომი არის ხალხის თვალსაჩინო და ღირსეული შვილი. ოდნავ წინსწრებით გავბედე და ვულოცავ მრგვალ თარიღს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სულის სიმხნევებს, „მრავალჟამიერი“ არ მოიშალოს შენს კერაზე, შენს სათაყვანებელ სამშობლოში.

ჩემი როსტომი, ამაყად და წელგამართული მიაბიჯებს ცხოვრების რთულ, დახლართულ გზაზე. დღე-

საც სიახლის მძებნელი, ენერგიას არ იშურებს, რათა ხელმიუწვდომელი არა დარჩეს რა. შემოვლილი აქვს ზემო და ქვემო რაჭა, უბრალო მელოდიაც არ დაუტოვებია უყურადღებოდ. მოძიებული აქვს მრავალ ოჯახში რაჭული მარგალიტები, გადმოტანილი ანსამბლ „საგალობელში“. მისი ნაკეთები საქმე თაობებს დარჩებათ საამაყოდ. მრავალი ქვეყანა შემოიარა ანსამბლმა და ვამაყობთ ამით, ყველგან აღიარება აქვს როსტომს. ღირსების ორდენის კავალერი, მუხლჩაუხრელად აგრძელებს საშვილიშვილო საქმეს. როსტომი ადამიანებში მხოლოდ კარგს ეძებს, არ აკლია დიდება და პატივისცემა რაჭველების, მთელი ქვეყნის, მეგობრების მხრიდან, ხვავრიელად იმკის სიყვარულს. უყვარს ქართული სუფრა, ტრადიციული, მამა-პაპური, ლხინის კაცია, სიმღერის, მისი ხელის გაშლა და ცეკვა ზეიმია პირდაპირ.

საბედნიეროდ, ბევრ კარგ ადამიანს შევხვედრივარ ცხოვრებაში, რომლებმაც, ნათელი კვალი დატოვეს ჩემში, მაგრამ, როსტომისთანა ადამიანები დღესაც ფარნით არიან საძებარნი. მაინც, როგორია როსტომ გოგოლაძე? - მოყვასის მოყვარული, მტერიც კი უყვარს, ფიცხიც არის, რაჭას, ოჯახს ვერავინ შეუგინებს. პატიოსანია და ასეთივე ადამიანებს ეძებს. მშრომელი, საქმეში უღალატო, უმალ სამეგობროს საქმეს გააკეთებს, ბოლოს თავისას, ეცოდება შეჭირვებული. აი, ასეთი



გრძნობებით გაანებივრა არსთა გამრიგემ როსტომი და ეს კაცი ძალიან ჩემია, ჩვენია, მადლობა გამჩენს, სიყალბე ამ ადამიანში არ არსებობს. თუ ვინმე მის გვერდით ბედნიერია, შეუძლია მისი ბედნიერებით იცხოვროს. ჩემს თვალში, რაინდული თვისებებით დაჯილდოვებული კაცია, მომავალი თაობების მოძღვარი.

წლების განმავლობაში იყო ამბროლაურის კულტურის სახლის დირექტორი, ყველას მამა და პატრონი, გულისხმიერი ხელმძღვანელი, საქმის ერთგული. უამრავი როლები აქვს შესრულებული სახალხო თეატრის სცენაზე. ეს კიდევ ცალკე თემაა, რომელიც ყურადღებას იმსახურებს. თეატრი იყო, არის და იქნება ჩვენი ტაძარი და სულიერი საზრდო.

ისტორია მომავალში მეტს იტყვის როსტომ ქექ-თიმეს ძე-გოგოლაძეზე, მის ოჯახზე. იგი ბედნიერი კაცია. არასდროს არაფერზე წუნუნებს. ცოტა იუმორსაც თუ გაფურევ... მიუხედავად ქრონიკული უფულობისა, უღევად გასცემს სიკეთეს, პურ-მარილს, სიყვარულს, განურჩეველი სიალალით. უყვარს მაყურებელი, მასთან გულწრფელობა მთავარი იარაღია, ადამიანური პროფესიაა, სიკეთე გასცეს და არაფერს დაელოდოს, უსაშველოდ მიმტყვევებელი, მაგრამ, ეს ხელს არ უშლის, ზოგჯერ იყოს ფრონტის წინა ხაზზე, იბრძოლოს სიმართლისათვის, სხვაგვარად, სახალხო ანსამბლი „საგალობელი“, რომელიც აგერ 45 წლისაა, არ იქნებოდა. როსტომის თავზე ბევრმა ქარიშხალმა გადაიარა, მეგობრებიდან ბევრი წავიდა იმ ქვეყნად, ჩანყვიტა გული, ხალისი დაუკარგა, მაგრამ საყვარელ საქმეს მაინც არ უღალატა და დღესაც მყარად დგას ანსამბლი ფეხზე. იხარეთ ბიჭებო, ქვეყნის საკეთილდღეოდ. კარგს მაშინვე არქმევს კარგს, ცუდზე ლაპარაკი უძნელდება, თუმცა, პირდაპირობა საქმის ნახევარია და არც ამას ერიდება. მაღალი დონის ანსამბლი რომ შექმნა და სახელი დატოვო, რჩეულთა ხვედრია, ესაა სიმართლე. როსტომი გამორჩეული კაცია, მყარად დგას დღევანდულობის მოთხოვნების დონეზე. როსტომი სიყვარულის დეფიციტს არ გრძნობს.

შვილებს მხოლოდ პატიოსნება ჩაუნერგეს მშობლებმა. ნიკო და ლადო, ნინო კობახიძე, ჩემი პირველი სიყვარული, ხატია უბირია, სულის ნაწილი ჩემი. ესენი რძლები არიან როსტომის და მარინასი.

ბიჭებო, ნიკო და ლადო, თქვენ ხართ ჩემი იმედი, ჩემს სალომესთან ერთად. დედათქვენი - მარინა ჩიხრაძე, ოჯახის ქმარ-შვილის ინტერესებით ცხოვრობს დღემდე, ვალმოხდილი ოჯახთან, ქმარ-შვილთან, შვილიშვილებთან. სანდრო და გოგლა, მარგალიტები, მესამე „გზაშია“. ვფიქრობთ, როსტომ მეორე მოდის და ეს საამაყოა. მარინა არის მეუღლის სამეგობროს დამფასებელი, სამეზობლოს პატივისმცემელი, სტუმრის მოყვარული. ასეთი ოჯახი

შექმნეს. ღმერთმა ნუ მოშალს დედის ლოცვა და მაღლი როსტომის ოჯახში:

„კარგს კარგი უნდა დაურჩეს
რისთვის გააჩენს ავსაო...
ალალი კაცის გაჩენა,
მზის ამოსვლასა ვავსაო...“

ბრძანა ჩვენმა მოძღვარმა, ბატონმა გიგა სხირტლაძემ, რომლის სახელსაც „საგალობლის“ ჩამოყალიბება მყარად უკავშირდება, გაანათლოს უფალმა მისი სული.

როსტომ, სალომე ასეთ სიტყვებს გეუბნება: „ბუძი, შენ მაგალითი ხარ, ათვლის ნერტილი ჩემთვის, ვიცი, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ვაჟკაცი, კარგი პიროვნება. ვადევნებ თვალს შენს ცხოვრებას და ვისურვებდი, შენისთანა პიროვნება დადგეს ჩემი ცხოვრების მეგზურად. შენ და მამაჩემი პატიოსნებით გავდით ერთმანეთს, საქმის სიყვარულით და პროფესიონალიზმით. შენში მამას ვხედავ, გმადლობთ!“

შენი სიალალით, სიკეთისკეთების სურვილით, კვლავ გაიტან ლელოს, ბატონო როსტომ, დაგლოცოს ღმერთმა, ჩემო კეთილო ძმაო. დიდი მადლობა, რომ არსებობ. დიდი მადლობა შენს არაჩვეულებრივ მშობლებს, რამეთუ მოგავლინეს ამ ქვეყნად. ნათელი დაადგეთ მათ.

23 ივლისი ბევრი ჩამოდგება, ალალი იყოს კიდევ ერთი ამდენი შენთვის, შენი მონაგრისთვის, შეგარგოს უფალმა შენი ნაშრომ - ნაღვანი.

ბოლო აკორდად მინდა დავსვა ნიკოს ლამაზი ლექსი, რომელიც მოკრძალებულად მოგიძღვნა მამას, - როსტომ გოგოლაძეს:

„მართალი კაცი, მშრომელი ბედით,
აქ გაჩენილი ჩემდა გამჩენად,
ვაზის და კაცის ერთგული დარჩა,
რაჭის იმედად და ასამღერლად.
მჯერა ბავშვობის და ბავშვის მჯერა,
როცა დიდიც ხარ, ბავშვივით წრფელი,
შენ მამულისთვის ღომად აკეთე,
საქმე ლაბასი ამდენი წელი.
ერთი სიმღერა მასწავლე კიდევ,
ხმაგაცვეთილო კაცო ქვეყნისა,
რომ ეს სიმღერა შენად შევაქო,
შენდა დარგულად და ვთქვა მერმისად.
არ თქვა გაჩენა არ ღირდა შენი,
ღმერთმა ჩაუცვლა სამშობლოს კაბა,
მადლობა გამჩენს, მადლობა გამჩენს,
სამაგალითო მეც რომ მყავს მამა.“

„ჩაკრულო“ გუგუნებდეს ჩვენი სათაყვანო ქვეყნის თავზე.

ირინა ჩიხრაძე.



სოციალური სექტორის მუშაობის შესახებ

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა 9 მაისს-ფაშიზმზე გამარჯვების დღეს გილოცავთ...

მუნიციპალიტეტის გამგებლმა მალხაზ ლომთაძემ მოადგილეებთან და გამგეობის სხვა თანამშრომლებთან ერთად მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.



18 მაისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა და ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტმა რაინდი ჯოხაძემ ჭრებალას

ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს შოთა სანთელაძეს და შალვა თავარაძეს გადასცეს საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მილოცვა 9 მაისთან დაკავშირებით და წამლების ვაუჩერები.



2016 წლის 17 მაისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხიდიკრის კულტურის სახლში ამბროლაურის კულტურის ცენტრის და მის ბაზაზე დაფუძნებული „არტ კლუბ“-ის ინიციატივით და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის მხარდაჭერით გაიმართა ინტელექტუალური თამაში „მეგაგონი“, სადაც მონაწილეობა მიიღო ნიკორწმინდის, ურავის, სადმელის, ხვანჭკარის, ჭრებალოს და ქ. ამბრო-

ლაურის 1 და 2 საჯარო სკოლებმა. ფინალურ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ნიკორწმინდის და ქ. ამბროლაურის 2 საჯარო სკოლები, სადაც გაიმარჯვა ნიკორწმინდის საჯარო სკოლის გუნდმა, გამარჯვებული სკოლის გუნდის წევრებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სახელით გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ხოლო ღონისძიების ყველა მონაწილეს დიპლომები.



არაბული კომპანია შაორის ტბის ტერიტორიაზე \$500 მილიონის ინვესტირებას გეგმავს

არაბული კომპანია ISRAIL AHMADOV INVESTMENT LLC რაჭაში, შაორის ტბის ტერიტორიაზე დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენებას გეგმავს. როგორც კომპანიაში „ბიზნესკონტაქტს“ განუცხადეს, ადგილზე მინიმუმ 500 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელება იგეგმება, რომელშიც აღნიშნული კომპანიის გარდა ევროპული და სხვა არაბული კომპანიებიც იქნებიან ჩართული.

კომპანიამ პროექტი უკვე წარუდგინა ადგილობრივ და აღმასრულებელ ხელისუფლებას და მათი ინფორმაციით, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. როგორც კომპანიაში განმარტავენ, შაორის ტბის ტერიტორიაზე გეოლოგიურ და ეკოლოგიურ შესწავლას ახორციელებენ, იმის დასადგენად, თუ სად არის შესაძლებელი


სამშენებლო სამუშაოები. მათივე ინფორმაციით, ნებართვის მიღების შემთხვევაში, გადაცემული მიწის ნაწილზე მწვანე საფარი უცვლელი დარჩება.

პროექტის მიხედვით, კომპლექსის მშენებლობა ეტაპობრივად განხორციელდება. პირველი ეტაპი სასტუმროებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობას ითვალისწინებს. მეორე ეტაპზე კი კომპანიას საცხოვრებელი სახლებისა და კოტეჯების მშენებლობა სურს.


პროექტი შემდეგ კომპლექსებს გააერთიანებს: 4 სასტუმრო - (300, 400, 500, და 600 ნომრიანი) იახტ-კლუბი, რომელიც 1500 კვ.მ-ზე განთავსდება, ქართული, არაბული, იტალიური, ამერიკული რესტორნები, სპა და ფიტნეს ცენტრი, ბავშვთა გასართობი ცენტრი და კოტეჯების ზონა. კოტეჯები 2, 4 და 5 ნომრიანი იქნება. ასევე პროექტი ითვალისწინებს გოლფის მოედნისა და იპოდრომის მოწყობას.

როგორც არაბულ კომპანიაში განგვიმარტეს, ისინი საქართველოში სხვა პროექტებითაც არიან დაინტერესებული. კერძოდ, კომპანიამ უკვე დაასრულა ზუგდიდში საკონსერვო ქარხნის პროექტზე მუშაობა. ასევე კომპანია იმედოვნებს, რომ უახლოეს პერიოდში მთავრობასთან სენაკის აეროპორტის მშენებლობაზე იქნება ხელშეკრულება გაფორმებული.





კათილგოსავი ქაჯის, ოპან გავაშელიშვილის გზა სათა სასუფავლისკან



მთის ხალხი ბუნების მესაიდუმლეა. სიმამაცე და ლომგულობა სწორედ რომ მათი მონაგონია. „კაცი ჯაბანი“ ვერასდროს ჩასწვდება ნადირობის ანა-ბანას. ნადირობა მთელი აკადემიაა, თავის წესდებით, რიტუალით, რომელსაც ჭეშმარიტი მონადირე არასდროს გადაუხვევს. სწორედ ასეთი კაცი მინდა გაგახსენოთ, ომარ გავაშელიშვილი — „დაბონა“, ალბათ გეცნობათ, — ღებში დაირწა მისი აკვანი. 1955 წელს 3 სექტემბერს დაიბადა. მთელი ცხოვრება კაცური კაცის სახელი ამაცად ატარა და ნამუშის ქუდი არასდროს შეუბღალავს. უამრავი მეგობარი და კეთილისმსურველი მის კაცობაზე ლეგენდებს თხზავდნენ. ალალი, პატიოსანი,

გულწრფელი და ჭეშმარიტი მამულიშვილი ბუდიდან გადაფრენილი კლდის ფრინველივით ცხოვრების მონაქროლმა სიომ თელეთში დაასახლა. თუმცა, მისი ნაკენარი ფუძე არასდროს დაუკარგავს. სიზმარი ღების გარეშე არასდროს უნახავს. მშობლიური კუთხის ნატვრით ცხოვრობდა. გულით კავკასიონის საიდუმლოს ატარებდა და სულში მშობელი ხალხი ჰყავდა ჩასახლებული. ჰყავდა! დიახ, ჰყავდა! დადუმდა მისი მეგობარი იარალი, ზურგჩანთა, ხელჯოხი, ფარფლებიანი ქუდი და სპეციალური სამთო სამოსი უკვე რელიქვიის საკუთრება გახდა. აღესრულა მისი სპეტაკი სული. უამრავი ატირებული ადამიანი დატოვა და დიდი სოფლისკენ სავალ გზას გაუდგა.

ომარ გავაშელიშვილის განვლილი გზა ზაალ კახიანისადმი მიძღვნილ **გივი სიხარულიძის** ლექსს მაგონებს:

ქალაქში დადიოდა კაცი და
დაჭქონდა ბეჭებით მსუ.
სადაც გაივლიდა, ხარობდა —
ბალახი, ვვავილი, სუ.

წავიდა კაცი და წაიღო
მარტო ის შემწარავი დღე,
სევდით აცილებდა სამარქმდე
შუბლზე მოციმციმე მსუ.

თითქოს შემთხვევით დარჩაო
სიკეთით დახუნძლული სუ.
ერთი სუ გვეგონა დაგვიტოვა და
თურმე, დაგვიტოვა ტყე.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი სტუმარმოყვარე გახლდათ ბატონი ომარი. ერთხელ, მან გადაწყვიტა თავის სიყრმის მეგობრებისთვის თავი მოეყარა—თანაკლასელები დაჰპატიჟა.

ვიდრე სუფრა გაიმართებოდა, მასპინძელმა თავი შეუძლოდ იგრძნო. პატიება ითხოვა და საძინებელ ოთახში გავიდა. აღმოჩნდა, რომ ეს მისი საბოლოო დამშვიდობება იყო მეგობრებთან, ოჯახთან, სიცოცხლესთან. ომარი განმარტოებით გარდაიცვალა.

ცოტა ხნის წინ ომარის უსაყვარლესმა კაცმა, ბიძაშვილმა, ასევე ბუნებასა და ნადირობაზე უზადოდ შეყვარებულმა ადამიანმა, ნიკა გავაშელიშვილმა ომარის გასახსენებელ სუფრაზე დამპატიჟა, სადაც გარდაცვლილის მეგობრები და ოჯახის ახლობელი ადამიანები იყვნენ შეკრებილი. ეს იყო დიდი მწუხრის სუფრა, რომელიც ნიკას საგულდაგულოდ გაეშალა. იგი ხომ ომარის მარტო ბიძაშვილი არ იყო, ის მისი უმცროსი მეგობარიც გახლდათ. სუფრასთან ასევე იყო ომარის უსაყვარლესი შვილი ბელდუხა გავაშელიშვილი თავის მეგობრებთან ერთად. სამართლიანად შეურჩევია მამას მთის სახელი შვილისათვის. მართლაც მთასავით აზიდული ვაჟკაცი მადლობას გვიხდოდა თანაგრძნობისათვის.

ესეც კიდევ ერთი მოხეული ფურცელი, ფურცელი, რომელიც არასდროს გაცვდება, ისე როგორც არასდროს დაავინწყდებათ მის



ახლობლებს ისეთი დიდებული კაცი, როგორც ომარ გავაშელიშვილი იყო.

ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს. სანთელ-საკმეველი უნათებდეს გზას მარადიული სასუფევლისაკენ.

გორჩა გუტაშვილი

სიევარულით რაჭას, წინაპართა კუთხეს

ემღვნება ციცია ჯაფარიძეს

რაჭა დიადი, რაჭა ზვიადი,
სტუმართმოყვარე, მრავალხმიანი,
დაბურულ ტყეთა ფოთლების შრიალს,
ნაკადულების ჩუხჩუხს და მღერას,
ხვანჭკარის რაკრაკს, შავთვალა მტევანს,
ბარაკონიდან ზარების რეკვას,
და ნიკორწმინდის ღამაზ ჩუქურთმებს,
თამარ დედოფლის მუხნარს და ბადნარს,
ნისლიან მწვერვალს, შაორის ტბასაც
მწვანე ზურმუხტის გვირგვინი ადგას.

მანანა
ჩუხაძე



მეორე მსოფლიო ომმა კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ომები გადაფარა, თავისი მასშტაბებით ყველაზე სისხლის მღვრელი საერთაშორისო კონფლიქტი იყო, სადაც 72 ქვეყანა აღმოჩნდა ჩათრეული, დაიღუპა 60 მილიონამდე ადამიანი, მათ შორის, 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლე. პროცენტულად მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, ქართველებმა ყველაზე მეტი სისხლი დავეღვარეთ. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ოჯახი მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის გარეშე, ამა თუ იმ სახით.

ბაბუაჩემმა, ილია ლობჯანიძემ, თავისი უფროსი ვაჟი არსენი ფრონტზე გააცილა, დამშვიდობებისას შვილს უთხრა, არსენ, შენ ხარ ჩვენი ოჯახის იმედი და სიამაყე, იბრძოლე სამშობლოსათვის, თავსაც გაუფრთხილდი და სხვასაც, ნუ დაივიწყებ ვისი გორის ხარ, ასახელე წინაპარი, მტერზე გაიმარჯვე და შინ გამარჯვებული დაბრუნდიო. — მამაჩემო, არც თავს შევირცხვენი და არც მტერს გავახარებ, ჩემი იმედი გქონდესო, უთქვამს არსენს მამისათვის.

მაშინ არც მშობლებმა იცოდნენ და არც შვილმა, მათი შეხვედრა უკანასკნელი თუ იქნებოდა. ბებიაჩემს, ქეთევანს, ცრემლები ახრჩობდა თურმე, მაგრამ ტირილს ვერ ბედავდა, ბაბუას გაუფრთხილებია, დედაკაცო, თვალზე ცრემლი არ მანახო, ბიჭი ისე გავაცილოთ, მერე სანაწებელი არ გაგვიხდესო. სახლში დაბრუნებული ბებიაჩემი მარტო მწარედ ქვითინებდა, რომ არავის დაენახა, დედის ინტუიცია ეტყობა სხვა რამეს კარნახობდა,

ეს მიაბმო მამიდაჩემმა სარამ, რომელიც იმ დროს უკვე მოზრდილი გოგო იყო.

ოჯახმა არსენისაგან რამდენიმე ბარათი მიიღო, წერდა: ოფიცრის წოდება მივიღე, ათეულს ვმეთაურობ და ბრძოლებს წარმატებით ვატარებთო, ბარათებთან ერთად რამდენიმე ფოტოც გაუგზავნა მშობლებს. შემდეგ არსენთან კავშირი განწყდა, ბარათები აღარ მოდიოდა, ოჯახი მოთმინებით ელოდა ინფორმაციას ფრონტიდან, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, დაბრუნდნენ გადარჩენილები, ოჯახი ყველა დაბრუნებულს



ეკითხებოდა, ჩვენი არსენი ხომ არ გინახავთო, მაგრამ ასეთი არავინ აღმოჩნდა. მშობლები და დედამამიშვილები სიცოცხლის ბოლომდე ელოდებოდნენ ინფორმაციას არსენის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. შემდგომი თაობა, ჩვენი სახით არსენს, უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევდა და ხსოვნასაც კი ვერ უთვლიდა, ვიმედოვნებდით იქნებ გადარჩა, ტყვედ ჩავარდა და გამოჩნდება, ან რაიმე ინფორმაციას მივიღებთ-თქო.

ერთ დღეს (2016 წლის 11 მაისი) სამსახურში მივედი (გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში), კაბინეტში სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი სერგო ჭელიძე შემოვიდა და თქვა, ინტერნეტში სპეციალურ საიტზე - www.old-memorial.ru - დაიდო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა და უგზო უკვლოდ დაკარგულთა შესახებ ინფორმაციებიო.




ვთხოვე, გაეხსნა საიტი და ბიძაჩემის, არსენ ლობჯანიძის შესახებ ინფორმაცია მოეძებნა. კომპიუტერმა პირველივე მცდელობაზე მოგვანოდა მისი დაღუპვის ადგილი, დრო და მიზეზები, რამაც „შოკში“ ჩამაგდო, ჩემი ოჯახის მიერ ათეული წლების განმავლობაში უშედეგო ძებნის მიუხედავად, რამდენიმე წუთში საჭირო ინფორმაცია მოვიპოვე. ახლა უკვე ბევრი რამ ვიცი მასზე. ლეიტენანტი, ათეულის მეთაური, არსენ ლობჯანიძე, დაბადებული 1917 წელს, დაიღუპა 1943 წლის 14 თებერვალს სოჭში, ხელყუმბარის

აფეთქების შედეგად და პირველადი დაკრძალვის ადგილად დასახლებულია ხვოსტა (სოჭი). რჩება მისი საფლავის პოვნა, რასაც პირველივე შესაძლებლობისთანავე დავინწყებ, ვნახოთ რა შედეგი დადგება. პირველივე რაც გავაკეთე; მამა დანიელს (ზურაბ ლობჯანიძე) ვთხოვე, პანაშვიდი გადაეხადა ბიძაჩემის, არსენისა და ჩემი მეუღლის, გიულის ბიძის, ალექსანდრე გვიშინისათვის, რომელიც ასევე დაკარგულად ითვლებოდა, პანაშვიდს დაესწრნენ ჩემი უახლოესი მეგობრები, მათ შორის: ოთარ ლობჯანიძე, მწერალი, ლერი ლობჯანიძე, ლიტერატურასა და პოეზიაზე შეყვარებული კაცი, ანზორ ლობჯანიძე, ძმები მიხეილ და გელა გობეჯიშვილები, ავთანდილ ლობჯანიძე (დოლა), კაკო ლობჯანიძე, პავლე გავაშელი, ვალერი გოგრიჭიანი, დავით ლობჯანიძე, რობიზონ ლობჯანიძე, თანადგომისა და მეგობრობისათვის მათი მადლიერი ვარ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც 73 წლის შემდეგ აღიარებული იქნა ბიძების დაღუპვის ფაქტი და შეისვა ხსოვნის აღსანიშნავი სასმისი. მამაჩემი და მისი დედმამიშვილები სულ ხუთნი იყვნენ, სამი ძმა და ორი და. დღეს მხოლოდ ერთი, მამიდა თამარია ცოცხალი და აღარ ვიცი მას გავუმხილო თუ არა ეს. ჩემს ბავშვობაში ხომ მთელი ოჯახი ასე იფიცებოდა, „არსენა მომსვლიაო“ და არავის სჯეროდა მისი დაღუპვის ამბავი. მთელი სიცოცხლე ელოდნენ და აი, ისიც დაბრუნდა, 73 წლის შემდეგ ისევ ისეთი ახალგაზრდა, სულ 26 წლის, დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაბრუნდა.

ბივი ლობჯანიძე

პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

მრავალძარღვა



ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო მცენარეა. ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ცნობილი იყო ჩინეთში, ძველ საბერძნეთში, რომში და მის სამკურნალო თვისებებს აფასებდნენ სპარსი და არაბი ექიმები. ხალხურ და ოფიციალურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება მრავალძარღვას ფოთლები.

გასტრიტი, ენტერიტი, კოლიტი, კუჭის წყლული: 2 ს.კ. მრავალძარღვას დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე 5-10 წუთით და შემდეგ დააყენეთ 30 წუთის განმავლობაში. მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

ხველა, გაციება: 1 ჩ. კ. ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20-30 წუთი, მიიღეთ დღის განმავლობაში.

ჭრილობები: 1 ს.კ. მრავალძარღვას გამხმარი ფოთლები დაფშვებით და უმატეთ 2-3 წვეთი მცენარეული ზეთი და ვაზელინი პროპორციით 1:9. გამზადებული მალამო გამოიყენეთ ჭრილობის შეხორცებამდე.

სტომატიტი, პაროდონტოზი: 1 ს.კ. ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20-30 წუთი და განურეთ. ნაყენით გამოივლეთ პირის ღრუ დღეში 3-4-ჯერ.

ათეროსკლეროზის პროფილაქტიკა, სისხლძარღვების გამაგრება: 1 ს.კ. ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20-30 წუთი, მიიღეთ დღის განმავლობაში. კურსი - 1 თვე.

კესო ლალიძე

მუბჯად დაუდგა სახლსა და მტამულს

მამა

გერმანელების ნაღმის ნამსხვრევით
მუბლგახეხილი, მაგრამ ცოცხალი
სახლს დაუბრუნდა და გააღვივა
კერის ღაღარი და ნაკვერჩხალი.

აუწყო¹ ჰირი ცელსა და გუთანს,
ურემს შეაბა უღელი ხარი,
განახალისა თელის ბუღელი
და მოხუც მამას აუბა მხარი.

ბურჯად დაუდგა სახლსა და შრამელს²,
ვერ იზოვიდით მას უქმად მყოფელს,
უფრთხილდებოდა ღირსებით სახელს
და სამი ვაჟი შემატა სოფელს.

პირველი იღვა მთიბუელთა რიგში
ცხრანომრინი ცელით ლესილით,
და გიგანტური ნაბიჯის კვალზე
ემატებოდა ლესურს ლესური³.

ასწლიან წიფელს ორ-სამ საათში
წააქცევდა და ჭრიდა კუბებად,
მარტოს შეემლო ტონიან ზვინის
კოხტად მარხილზე შემოსეუება.

სოფლიდან მთამდე, მთიდან სოფლამდე
გზას-ათ კილომეტრს - აუღებდა ჩირად,
ვერ ეწეოდა ვერც ცხენოსანი
და მანქანასაც ასწრებდა ხშირად...

ასე იცხოვრნა მთელი სიცოცხლე,
არ შეუცვლია ცხოვრების ფერი,
ცხვირკეხიანი და თმაჭალარა
იყო ვით მოგვი, ასკეტი ბერი!

ჩემი სოფელი (ხალხურ მოტივზე)

შენი სიხუმე ჩემთვის ზარია
მხელბედობის ქამს ცეცხლად ნთებული,
მე ისევ გხედავ და მიხარია
რომ ცოცხალი ხარ და დიდებული.

მაგრამ სად გაქრა შენი სილადე,
შენი მხნეობა და წვრილმუილობა,
აღარც ეხანაში გუთნის ჭრიალი,
აღარც ურემში ხარის წვეილობა.

წისქვილის ადგილს ვეღარ იზოვნი,
მოდებულია შამხნარით ჭალა,
ბიჭუნეების ხმა არსად ისმის,
აღარც მოთუკა, აღარც ბუჭალა.

დადუმებულან სამჭედლოები,
ნუთუ ცხენებსაც აღარ ჭედავენ,
სანახმო ჩაკვდა თუ მოხუცები
გარეთ გამოსვლას ვეღარ ბედავენ.

აღარ ახსოვთ და ზამთარში თურმე
ჯამბურებით არ სრიალებენ,
სამაგიეროდ საფხულში ხშირად
„მერსედესები“ დაკრიალებენ.

ცალ-ცალკე მოვდნენ მწვემით დაცული
ცხვრის ფარები და თხების ჯოკები,
ახლა კომბალი კი არა სახრედ
აღარ იჭრება თხილის ჯოხები.

ათას ოთხასი ხარი იბმოდა
შვიდასკომლიან სოფლის ბოხელში,
ვიფუთებოდით ზამთარ-საფხულში
თვითნაქსოვ ქუდში და სამოსელში.

აღარც სათიბი, აღარც ეანები,
კალოობა ხომ ადრე მკვდარია,
ქალაქის სიბლი დასანანები
მტრისგან დაწნული მანის დარია.

ადრე მთებსა და დევა მწვერვალებს
ვენახშებოდი ადვილად ეველას,
ახლა მდუმარედ შემომეურებენ
და თითქოს ჩემგან ელიან შველას.

მთათა სილაღეს დრო ვერ ამცირებს,
მათ არ აკლდებათ ჯიხვი, არც შველი,
საცოდავი ვართ, თუ ვერ გავიგეთ
მთები კი არა, ჩვენ ვართ საშველი.

ამ სილამაზეს ჰატრონი უნდა,
მოჭირნახულე, დამფასებელი,
ნუთუ ამდენად შეუცვლელია
ქალაქს მოსახლე ეველა ღებელი?

კვლავ გადახედეთ ამ ზღაპრულ არეს,
ერთხელაც ფხიწლად შეავლეთ თვალი,
ურბი მიუგდეთ თქვენს მშობელ მხარეს
და შეამჩნიეთ ღვთისმშობლის კვალი,

1. პირის აწყობა ლეხში ნიშნავს ალესავს (გალესავს).
2. შრამელი — ეზო-კარი.
3. ლესური — ცელის ერთი მოსმით მოთიბული ბალახია.

თუ ქრუანტელმა არ დაგიარათ,
არ დაგისუსხათ ტანი მთლიანად,
ნულარ იფიქრებთ ვინა ვართ, რა ვართ,
და რად ვძობილვართ ადამიანად.

რასაც თქვენ ხედავთ არის სიცოცხლე,
ღვთით ბოძებული, არა ნაწარი,

დღესაც კი ჩვენგან შეუმჩნეველი,
წაუკითხავი ძველი ზღაპარი...

გაღმა-გამოღმა, ზედა და ქვედა,
ბედით და იღბლით გაუყოფელი,
ეს არის ჩემი ადგილის დედა,
ფანტასტიკური ჩემი სოფელი!

ამ ლექსის ადრესატს ვანო ისამილის ძე გავაშელს ანუ „დიდ ვანოს“ როგორც მას იცნობდნენ და ეძახდნენ ლეზში, წელს 100 წელი შეუსრულდებოდა (გარდაიცვალა 2001 წელს 85 წლის ასაკში). იგი 1939 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში

გაუწვევიათ, სადაც მოუსწრო დიდი სამამულო ომის დაწყებამ. 1942 წელს მძიმედ დაუჭრიათ ნოვოროსიისკთან და სამკურნალოდ სოჩის ჰოსპიტალში გადაუყვანიათ. გერმანული ნაღმის ნამსხვრევები თავში, შუბლის არეში მოხვედრია. პატარა ზომის ნამსხვრევები ჰოსპიტალში მოუცილებიათ, მაგრამ მთავარი ნამსხვრევი, ზომით ცერა თითის ოდენა, რომელიც თავის ქალაში ყოფილა შეჭრილი, დაუტოვებიათ ხელშეუხებლად, რადგან მის ამოღებას შეეძლო პაციენტის სიკვდილი გამოეწვია. ჰოსპიტალში სამი თვის მკურნალობის შემდეგ, მამა ფრონტზე დაბრუნებულა. (სანამ მამა ჰოსპიტალში მკურნალობდა, ბაბუას ჩაუკითხავს მისთვის. ცნობილი ფილმი - „ჯარისკაცის მამა“ — თითქმის მთელი სიზუსტით ხორცმესხმულა. რამდენჯერაც არ უნდა გაეხსენებინა ეს ეპიზოდი, მამას ყოველთვის თვალები უწყლიანდებოდა). ომის დამთავრებას მისთვის ბესარაბიაში (მოლდავეთში) მოუსწრია, მაგრამ დემობილიზაციით მხოლოდ 1946 წელს დაბრუნდა სახლში.

თავის ქალაში გაჩრილი ნაღმის ნამსხვრევი მამამ 40 წელი ატარა. გარეგნულად ამ ნამსხვრევის არსებობას მხოლოდ შუბლის მარჯვენა ზედა მხარეზე არსებული პატარა ბორცვი ამხელდა; შინაგანად კი ის განსაკუთრებულ დისკომფორტს არ უქმნიდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მომეტებულად სიცხიან ამინდში თავის ძლიერი ტკივილები ეწყებოდა, როგორც ექიმები ამბობდნენ, სიცხეში რკინის გაფართოების გამო. მამა ხშირად ამბობდა, რომ ნაღმის ნამსხვრევი თანდათანობით ამოღისო, მაგრამ ამ პროცესის ერთობ წელი ტემპის გამო გარეგნულად ეს თითქმის შეუმჩნეველი იყო. 1982 წლის გაზაფხულზე მამა დოღბანდით გადახვეული თავით სოფლიდან თბილისში ჩამოვიდა. ჩვენს შემაშფოთებელ კითხვებზე — „რა მოხდა“, „რაშია საქმე?“ — მშვიდად და ღიმილით გვიპასუხა: „საშიში არაფერია“, მოიხსნა სახვევი



და შუბლის შიდა მხრიდან ზედაპირზე გამოჩრილი წვეტიანი ბოლო გვიჩვენა. რა გზითაც შეიჭრა, იმავე გზით აპირებს უკან გამოსვლასო, — დაუმატა მამამ. როგორც კი შეუმჩნევია, რომ ნამსხვრევი შუბლის ზედაპირზე გამოვიდა, მაშინვე ონში ჩამოსულა და ქირურგისათვის მიუმართავს, მაგრამ მას ვერ გაუბედავს დროისაგან დაწყებული ოპერაციის დამთავრება და თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გამოუგზავნია. პარასკევი იყო და რაკი ჰოსპიტალი შაბათ-კვირას არ მუშაობდა, ორშაბათამდე მამას ჰოსპიტალიზაცია შეუძლებელი გახდა. შაბათ დილით სანამ ჩვენ რაიმეს შევეკითხებოდით, მამამ თვითონ გვაცნობა, რომ ნამსხვრევი კიდევ უფრო გარეთ გამოიჩარა და ხელით შესებისას ყანყალებდა, რომ ეტყობა

ბუნებელა კიდაია. ყოველივე ამაში ჩვენ უმაღვე დავრწმუნდით, რადგან ჩვენივე ხელით შევეხეთ ჯერ კიდევ შუბლის კანში გაჩრილ ნაღმის ნამსხვრევს. ასევე განმეორდა კვირა და ორშაბათ დილით, მაგრამ ორშაბათს უკვე ჰოსპიტალს ვენვიეთ და ექიმებმა სავსებით მშვიდად ხუთშაბათისთვის დანიშნეს ოპერაცია: „აქ გასაკეთებელი თითქმის არაფერია, ნამსხვრევი ფაქტობრივად გამოსულია, ორგანიზმმა უცხო სხეული 40 წელი დევნა თავისი წიაღიდან და წარმატებით მოიშორა. ხვალ ჩვენ სერიოზული ოპერაციები გვაქვს, ხუთშაბათს კი დილითვე ამოვიღებთ ამ ნამსხვრევსო. ბუნებრივია ჩვენ დავთანხმდით და ხუთშაბათს დაველოდეთ.

სამშაბათსაც და ოთხშაბათსაც მივდიოდით მამის სანახავად, რომელსაც სახვევი უკვე მოხსნილი ჰქონდა და ჭრილობების ადგილს, როგორც თვითონ ამბობდა, დღეში ორჯერ სპირტით უმუშავებდნენ. ხუთშაბათს დილით 9 საათისთვის მივედით ჰოსპიტალში, მამა დერეფანში შეგვხვდა და გვითხრა: „მორჩა, მოგჭამათ ჭირი, გუშინ საღამოს ფეხბურთს ვუყურებდი ტელევიზორით, ეს ადგილი მომეფხანა და როგორც კი შევეხე, ნამსხვრევი ხელში შემრჩა. ჭრილობა დამიმუშავეს, ნამსხვრევი კი მუზეუმში მოათავსესო“. ჩვენ მართლაც ვნახეთ მუზეუმში ეს ნამსხვრევი, რომელიც 40 წელი მამას ორგანიზმში განისვენებდა. მამა პარასკევს უკვე ჰოსპიტლიდან გამოწერეს. ასე დასრულდა ეს ისტორია.

რატის ტოპონიმის ენობრივი და გარეენობრივი ანალიზის ფორმალური საკითხები

ადამიანთა სრულყოფილი თანაარსებობისა და ცხოვრების პროგრესისათვის აუცილებლად საჭიროა როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელი (ტოპონიმი, ანუ ადგილის სახელწოდება) და ანთროპონიმი (ადამიანთა სახელ-გვარები). საკუთარი სახელის ფუნქციაა იდენტიფიკაცია და ინდივიდუალიზაცია, ე.ი. მსგავს საგანთა სიმრავლიდან ერთი კონკრეტული საგნის, ობიექტის გამოყოფა. ტოპონიმთა ერთობლიობას ეწოდება ტოპონიმია, ხოლო ტოპონიმთა შეისწავლის ტოპონიმოლოგია, რაც ონომასტიკის ქვედარგია. ონომასტიკა არის მოძღვრება საკუთარ სახელთა შესახებ. ტოპონიმოლოგიის გარდა, ონომასტიკის ქვედარგებია ანთროპონიმოლოგია (მოძღვრება ადამიანთა სახელ-გვარების შესახებ), ზოონიმოლოგია (შეისწავლის ცხოველ-ფრინველთა სახელებს), თეონიმოლოგია, კოსმონიმოლოგია...

ევროპულმა ონომასტიკამ (და, შესაბამისად, რუსულმა და ქართულმა) ჩამოყალიბების სამი ეტაპი გაიარა: 1. წინარემეცნიერული; 2. ისტორიოგრაფიული; 3. ენათმეცნიერული. საქართველოში ტოპონიმთა ისტორიოგრაფიული ანალიზი დაიწყო XIX ს-ში და გრძელდებოდა XX ს-ის პირველ ნახევარშიც. ისტორიკოსებმა — მ. ჯანაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, ნ. მარმა, ნ. ბერძენიშვილმა, ს. ჯანაშიამ, გ. მელიქიშვილმა... ტოპონიმურ მასალაზე დაყრდნობით საყურადღებო დასკვნები გააკეთეს ქართველი ხალხის წარსულზე, ქართველთა წინაპრების ადგილგანაწილებაზე, საქართველოსა და მისი რეგიონების საზღვრებზე.

ქართული ონომასტიკის გადაქცევა ენათმეცნიერების დარგად (XX ს-ის მეორე ნახევარში) დაკავშირებულია ალ. ლლონტის, ი. მაისურაძისა და ზ. ჭუმბურიძის მოღვაწეობასთან. 1969 წელს პროფ. ფ. ერთელიშვილის ინიციატივითა და პროფ. შ. ძიძიგურის მხარდაჭერით თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმოლოგიის ლაბორატორია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს რეგიონების ტოპონიმურ მასალის აღწერა-აღწერის, გამოცემისა და ენობრივ-გარეენობრივი ანალიზის საქმეში. დაარსებიდან 10 წლისთავზე თსუ ტოპონიმოლოგიის ლაბორატორიის ექვს თანამშრომელს უკვე დაცული ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია. ამიტომაც საქ. კპ ცკ-ის მდივანთან, ბატონ ე. შევარდნაძესთან გაიგზავნა წერილი თხოვნით, აღნიშნული ლაბორატორიისათვის მიენიჭებინათ სამეცნიერო სტატუსი. აღმოჩნდა, რომ ამისი კომპეტენცია მხოლოდ მოსკოვს ჰქონდა. თსუ ორი თანამშრომელი გავემგზავრეთ, მაგრამ სსრ კავშირის განათლების მინისტრთან არც შეგვიშვეს. როცა ყოველივე ამის შესახებ მოახსენეს ბ-ნ ე. შევარდნაძეს, მან ჩვენგან მიღებულ წერილს წაანერა: საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს

განათლების მინისტრს: აიყვანეთ რესპუბლიკის ბიუჯეტში. ამის შემდეგ 10 წლის მანძილზე (სანამ სსრკ დაიშლებოდა) ტოპონიმოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელთა უმრავლესობა მეცნიერი მუშაკი გახდა (მოსკოვისაგან არალეგალურად). მოგვიანებით ტოპონიმოლოგიის ლაბორატორიას ეწოდა „ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, მაგრამ 2006 წელს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ერთი ხელის მოსმით გააუქმეს სამეცნიერო განყოფილება და შესაბამისი შტატები.

არსებობის 37 წლის მანძილზე ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრში დაცულ იქნა 15-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, გამოიცა შრომათა კრებულები, რეგიონების ტოპონიმური მასალა. „ცენტრის“ თანამშრომლებს არაერთგზის წაუკითხავთ სამეცნიერო მოხსენება სსრ კავშირსა თუ ევროპაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე. თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ს/კ ცენტრი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ჯგუფი იყო. ერთ-ერთი საკავშირო ონომასტიკური სამეცნიერო სესია საქართველოში გაიმართა.

„ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1990 წელს, ცნობილი ტოპონიმოლოგიური ცენტრების — მოსკოვის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ტოპონიმოლოგიური კომისიისა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ონომასტიკური კომისიის გვერდით დასახელებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმოლოგიის ლაბორატორიაც (იხ. *ЛЭС, Москва, 1990, გვ. 516*).

ენობრივი ფენები რატის ტოპონიმიაში

რიონის ხეობაში მდებარეობისა და კავკასიონის ქედითა და მისი განშტოებებით შემოზღუდულობის გამო რატა იყო „შეუვალი გარე მტრისაგან“ (ვახუშტი ბატონიშვილი). ამისგარდა, რატაში „ქართული ზნე-ჩვეულებანი დაცულია უფრო წმინდად, ვიდრე სხვაგან“ (აკაკი წერეთელი). რატის ტოპონიმია და რატული მეტყველება, რატა თქმა უნდა, ქართულია, მაგრამ შეიცავს სხვა რამდენიმე ენის ლექსიკურ გავლენასაც. რატის ტოპონიმიაში გამოვლენილია სვანიზმები და ზანიზმები, აგრეთვე ოსური, აღმოსავლური და რუსული ენების ლექსიკა. სვანიზმები გვხვდება ჭიდროთას ზემოთა რიონის ხეობაში, რომელსაც მთარაჭასაც უწოდებენ და მთიულეთსაც. ეს მცირე რეგიონი შუა საუკუნეებში სვანებს ეჭირათ, მაგრამ XVI ს-ის დამდეგიდან აქ მკვიდრდებიან რატელები („სასისხლო საქმის“ — თავად ჯაფარიძის მოკვლის გამო — სვანებს დაუთმიათ მთარაჭა). რატის ტოპონიმის სხვადასხვა ასპექტებს შევხებიან ალ. ონიანი, გ. გასვიანი, მ. ალავედი და სხვ. „რეალოში“ დაბეჭდილ წერილში გ. თავაძე აღნიშნავს,

რომ „ზემო რაჭა მოფენილია სვანური ტოპონიმებით“ (ამ კონტექსტში ზმნა „მოფენილია“ გადაჭარბებული ჩანს). სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ სვანური ტოპონიმია თავს იჩენს ჭიდროთას ქვემოთაც, რიონის მარჯვენა მხარეს, კერძოდ, უნერასა და საკაურის ხეობაში.

სვანიზმებად, უპირველეს ყოვლისა, ითვლება ზემო რაჭის ტოპონიმიაში: ბრილი, თევრეშო, ღები, შოდა, ჩუეშო, ჭიორა, ბუბა, ზოფხითო, კინტრიშო, ედენა, გილიონა, ჭვებარი (< სვან. ჭვებ, ჭუაბ „ჭაობი“. -არ მრ. რიცხვის ნიშანი), ღები (< სვან. ლუაბ „გუბე“) და სხვ. რას ნიშნავს „სვანურის კვალი“? სვანურ სუბსტრატს, სუპერსტრატს თუ ნასესხობას? (ქართველი ისტორიკოსები — ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, დ. მუსხელიშვილი... ვარაუდობენ, რომ V-VI საუკუნეებიდან რაჭაში, მთარაჭის ჩათვლით, საკუთრივ ქართულენოვანი მოსახლეობა მკვიდრობდა. მაშასადამე, შუა საუკუნეებში სვანები გადმოვიდნენ რივნისთავში, იქ დიდხანს მკვიდრობდნენ და ბოლოს იძულებული გახდნენ, გასცლოდნენ მთიულეთს (დღევანდელ მთარაჭას). ამ შემთხვევაში მთარაჭის ტოპონიმიაში გამოვლენილი სვანიზმები დაკვალიფიცირდება როგორც სვანური სუპერსტრატი („ზედა ფენა“) შუა საუკუნეებისა.

ზემო რაჭის ორმოცამდე ტოპონიმს გ. გასვიანი თვლის სვანურ გეოგრაფიულ სახელწოდებებად (იხ.: გ. გასვიანი, „ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 196). მაგრამ აქ საჭიროა დაზუსტება. საერთოდ მკვლევართა მიერ სვანიზმებად მიჩნეულ რაჭის ტოპონიმებში შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი: ა. ამოსავალი ფუძე სვანურია, ხოლო სანარმოქმნო საშუალებანი — ქართული. მაგალითები: ნაკიეთი (< სვან. ნაკ- „დავაკება“), წედისი (< სვან. წედ- „მცირედებიტიანი წყარო“), მაჟიეთი (< სვან. მაჟ-, მჟ- „მზე“) და სხვ. ბ. ტოპონიმი ქართულია ან საერთოქართველური. შევხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანის წარმომავლობას, რომლებიც აშკარად არ წარმოადგენს სვანიზმებს: სალატიფარი (სათიბი სოფ. ღებში). რაჭულ დიალექტში ლატი იგივეა, რაც დიყა, ხოლო ფარი უტყეო ფერდობია. საქართულში დანიშნულების პრეფიქსს წარმოადგენს. მაშასადამე, სალატიფარი ბალახოვანი ფერდობია; ბინული აღნიშნავს წყაროს და დასტურდება რაჭის სამივე გეოგრაფიული ზონის ტოპონიმიაში, აგრეთვე ზემო და ქვემო იმერეთში, სამეგრელოში; კაპარი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა (ქეგლ, IV). ზემო და ქვემო რაჭაში დასტურდება ტოპონიმები — კაპლარი, კაპრალი, კაპრალ(ებ)ი, კაპრები და სხვ. კაპარი, კამპარი შესულია მეგრულისა და იმერული დიალექტის ლექსიკონებში; მთარაჭის სვანიზმებს შორის დასახელებულია მეკენჩხალებიც... რა თქმა უნდა, ესაა ქართული ლექსემა ნეკერჩხალი, რასაც რაჭულ-ლენჩხუმურ ლექსიკაში მოუცია მეკენჩხალი (ფონეტიკური ვარიანტი). ეს ტოპოლექსემა გვხვდება იმერულშიც. მაშასადამე, რაჭაში დადასტურებულ ტოპონიმ მეკენჩხლებს ვერ ჩავთვლით სვანიზმად. იგივე ითქმის სხვა მრავალ ტოპონიმზეც: გვიმბრალა, ჭანჭახი,

კაჩიეთი, ლენჭყი//ლენჭყო, კონჩხა (რაც ქართული კონცხ- ლექსემის მეგრული შესატყვისია) და სხვ.

მთარაჭისა და ზემო რაჭის ერთ ნაწილს ესაზღვრება ჩრდ-ით ოსეთი, ხოლო აღმ-ით — სამაჩაბლო. ქართულ-ოსურ ენობრივ ურთიერთობებს შეჰხებიათ როგორც ქართველი და ოსი, ისე უცხოელი მკვლევრებიც (ო. თედევა, მ. ანდრონიკაშვილი, ა. ცაგაევა და სხვ.). საერთო დასკვნა ასეთია: აშკარაა ქართული და ოსური ენების ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვების ურთიერთშედნევა, ანუ ინტერფერენცია (ორენოვნება სასაზღვრო ზოლში). რაჭის ტოპონიმიაში ოცამდე ოსურენოვანი ტოპონიმია გამოვლენილი. დავასახელებთ რამდენიმეს: ვალაისქომი „ზემო ხეობა“ (სერი სოფ. შოდაში), მუსხუმ „კალოსყანა“ (სახნავი სოფ. ჭვებარში), ღებეცეკი „ღების უღელტეხილი“ (გადასასვლელი ჩრდ. ოსეთში) და სხვ. თავის მხრივ, რაჭაში დადასტურებულ ოსურ ტოპონიმთა ერთი ნაწილი შეიცავს ქართულიდან ნასესხებ და ფონეტიკურად იერშეცვლილ სიტყვებს: რალჟუარ „გორისჯვარი“ (სახნავი სოფ. ჭვებარში), ხაშურდონ „ხაშურის წყალი“ (წყარო სოფ. სორში) და სხვ.

რაჭის ტოპონიმიაში გამოვლენილი ყველა ო-თავკიდურიანი და -(ი)ში სუფიქსიანი დერივატი ზანიზმადაა მიჩნეული. მაგრამ პირველ ჯგუფში დასახელებული გეოგრაფიული სახელწოდებებიდან მხოლოდ რამდენიმეა ზანიზმი: ორჭე — გზა ან ვიწრო გასასვლელი რაჭის სამ სოფელში (მდრ. აკ. შანიძე: ქართ. ვინრ-ო : ზან. ორჭ-ე); ოჩოკოჩის ტყე — ბნელი და ღრმა ტყე-ხევი სოფ. ღვიარაში (ოჩოკოჩი „ვაცკაცი“ მეგრული მითოლოგიური პერსონაჟია)... მ. ქალდანმა სვანურ-ლენჩხუმურ და მეგრულ-ქვემოიმერული მასალის ანალიზის საფუძველზე დაასკვნა: -იმ//მ მორფემოიდი არის არა ოდენ ზანური, არამედ ზანურ-სვანური. რაჭაში დასტურდება 35-მდე -ში დაბოლოებიანი ტოპონიმი. მათგან მხოლოდ რამდენიმეა სვანური, ხოლო დანარჩენი ქართული ან ზანური ფუძის შემცველია: კოდიში საძოვარია სოფ. ქვედა თლულში (ქართ. კოდი გულამოღებულ მორია, რომელსაც გამოიყენებენ ხორბლის, ფქვილის შესანახად ან, თუ უძიროა, წყაროში დგამენ). მთარაჭაში, ზემო და ქვემო რაჭაში წყაროებს ეწოდება კოდი, კოდები, კოდისწყარო... მაშასადამე, „კოდიში“ შეიცავს ქართულ კოდ- ფუძეს, რომელსაც მეგრულ-სვანური -იმ მორფემოიდი დართვია; მეორე მხრივ, არაა გამორიცხული, -იმ დაბოლოება -ისი დაბოლოების ფონეტიკური ვარიანტი იყოს. რაჭის ტოპონიმიაში დასტურდება ჩონისი//ჩონიში (ნასოფლარი სოფ. მუხლში), ყელისი//ყელიში (მთა რიცეულის სათავესთან, სოფ. ლიხეთში). -ში დაბოლოება ზოგ შემთხვევაში ფუძისეულია: თირუში — საძოვარი სოფ. წესში (როგორც რაჭველი რესპოდენტები ადასტურებენ, თირუში მთის ბალახოვანი მცენარეა), ხვირიში — სახნავი სოფ. ღვიარაში (რესპოდენტის განმარტება: ხვირიში ცუდმოსავლიანი ადგილია) და სხვ. სწორია გ. გასვიანის დასკვნა, რომ რაჭის „მინა-წყალს სვანურისა და ზანურის გავლენა სუსტად შემორჩა“.

პაატა ცხადია

გაგრძელება შემდეგ ნომერში

აკვანი-ისცთბია, ტომელსაც უცბემლთდ ვუბ წაიკითხავთ

ბაბუას წერილი ნინიკოს:

„დღეს ყველაზე ბედნიერი და გახარებული დავწეი დასაძინებლად ჩემი პატარა ნატვრის თვალი დაიბადა. როგორც იქნა, ღმერთმა წყალობის თვალთ გადმოხედა ჩვენს ოჯახს, ამდენი ხნის ნანატრი შვილიშვილი ჩავვისვა კალთაში მე, ბაბუა, ერთი უბრალო ბერიკაცი ვარ, წესიერად შეიძლება ზღაპარიც კი ვერ მოგიყვე, სათვალეც კი არ მიშველის ჩემი დაფსობილი თვალებით წიგნი წაგიკითხო, მაგრამ მე შენთვის ახალ ზღაპრებს მოვიგონებ, ბაბუ, მოვიფიქრებ და ზეპირად მოგიყვები, შენ სანამ მიხვდები, რომ ბაბუაშენს კარგად წერა-კითხვაც კი არ ეხერხება, მეყოლები კალთაში და მოგიყვები ჩემს გამოგონილ ზღაპრებს, მერე და მერე რად გინდა, ბაბუ, ჩემი ზღაპრები თვითონ ისწავლი კითხვას და დაფრთიანდები, მანამდე მე შეგაყვარებ ჩვენს დალოცვილ სოფელს, ჩვენს ანკარა წყაროებს, ჩვენს ბებერ მურას და ჩირივით ჩამომხმარ ბებოსაც კი, რომელსაც დღესაც ნინიკელას ვუძახი, თითქოს ის პატარა გოგო იყოს, მე რომ პირველად ვნახე.

შენ შეიძლება ისეთი კარგი გოგო დადგე, დაჩანაწიკებულ ბებრებს წყალს არ გვაკლებდე, დაკარგულ ჯოხს მოგვირბენინებდე და მურას ყეფაზე გარეთ ჩემს ნაცვლად გახედავდე სტუმარს. შეიძლება ისეთი კარგიც იყო, რომ ბაბუს თუთუნიც ამოურბენინო სოფლის კენკელა მაღაზიიდან, მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საერთოდ არცერთი ამ საქმეთაგანი არ დაივალო, შენ მაინც ბაბულიას გოგო იქნები თვალხატულა და ჰაერივით სიფრთხიანი.

ახლა შენს სიცხიან ქალაქში მოვდივარ, ბაბუ, თან მომაქვს შენი პატარა ჩიტებით მოხატული აკვანი, ეს აკვანი საგანგებოდ შენთვის შევარჩიე, წესიერად თვლა რომ ვიცოდე, დავთვლიდი კიდეც ბაბუ რამდენი აკვანი გამოვთალე და სულ რომ მეკითხებიან სოფელში ბერიკაციები, ვუპასუხებდი კიდეც, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ბაბუ, რაც გამოვთალე და გავაკეთე ყველა სიყვარულით და სითბოთი მიკეთებია, სულ იავნანას დავამღერებდი ხოლმე და ასე მგონია, ესმოდათ კიდეც ჩემი ამ დალოცვილებს ანგელოზებისთვის ვაკეთებდი და ანგელოზები მეხმარებოდნენ. ისე მიხაროდა, ბაბუ, ჩემს ჭიშკართან რომ კაცი დაიძახებდა, აკვანი უნდა შეგიკვეთოო, ეს ხომ ახალი სიცოცხლის დაბადებას ნიშნავდა, უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, რომ შენთვისაც ჩემი ხელით გამეკეთებინა ეს აკვანი. აბა, ქალაქში ნაყიდი აკვანი, ბაბუ, რა იქნება ქალაქში გაზრდილი ხეც არ ვარგა, სხვა მადლი აქვს ჩვენს ხეებს, შენს შვილიშვილებს ეყოფა ეს აკვანი ისეთი ხისგანაა გამოყვანილი, რამდენი შაირის მოყოლება ვიცი ხოლმე, ახლა მატარებელი გუგუნით უახლოვდება დედაქალაქს. ჩემი გამოყრუებული დედაკაციც გვერდში მიზის. მეტი ჩვენ ვეღარ შევძლებთ, მგონია, რომ ჩამოვიდეთ ქალაქად, ესეც რომ არ იყოს, მეთექვსმეტე სართულზე რა ამიყვანს კიდეც ერთხელ, ბაბუ სად შეუძლია ცაზე სიარული ჩვენს ბებერ მუხლებს, გენაცვალე შენ, ბაბუ, შენ მომეცი ახლა ამის ძალა, რომ ისევ დავდგომოდი ამ გრძელ და ხმაურიან გზას, ჩვენი „ადესაც“ აქვე მიდევს და ალბათ მამაშენს ერთი სული აქვს, ყელს



როდის გაისველებს ჩვენებური ღვინით, კი იქნება ახლა ქეიფის ხასიათზე. ვარია შევწვით, აბა, მანდ შემწვარი ქათამი რა მისართმევია სტუმრებისთვის, სულგუნიც კი გამოიყვანა თავისი მიმჭუნარი ხელებით ბებიაშენმა და ზედ ჯვარი გამოსახა შენს სახელზე, ბაბუ, შოთის პურები ვერ გამოვაცხვეთ, მარა არ გენყინოს, დაბერდა ბებიაშენი და ძალა აღარ აქვს აპატიე, ბაბუ.

ისე მიცემს გული, ამ მატარებლის გუგუნშიც კი მესმის ხმა მკერდიდან. როდის გნახავ და შეგავლებ თვალს, ჩემო თვალხატულა. აი, გაჩერდა მატარებელი და ამ წერილის წერას თავს ვანებებ, იმდენი რამე მაქვს მოსაყოლი, მაგრამ დამთავრდა გზა და არაა ჩემი ბრალი, არა უშავს, ცოტას აქითობას მოგწერ, ბაბუ, კიდევ”.

„ტკივილით და სევდით მაქვს, ბაბუ, გული სავსე, როგორღაც ამოვბობლდით მეთექვსმეტე სართულზე მე და ბაბებიაშენი, სული ძლივს ამოვიტანეთ, მარა რათ გინდა, ჩაგვამწარა სიხარული დედაშენმა და მამაშენმა, მე იმ დახვედრას და მიღებას არ ვჩივი, ბაბუ, მაგენმა რომ იციან, რა ეშმაკი გამაჩერებს ამ ციხეში, ძალიანაც რომ შემეხვეწონ, მაგრამ შენი კოცნის უფლება კი მექონდა, ბაბუკელა რამდენჯერ სიზმარში დამსიზმრებინარ, რამდენჯერ წარმომიდგენია ეს დღე, მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი. ბევრი რომ არ მოგაბეზრო თავი, ნუხელ შუალამეზე დედაშენის და მამაშენის ჩხუბმა გამაღვიძა ისეთი გაბრაზებული იყო დედაშენი თითქოს კეთროვნები ვყოლოდით სახლში, მამაშენს უჩიოდა, რა უნდოდათ რომ ჩამოვიდნენ, ვერ მოესწრებოდნენ ჩვენს ჩასვლას და ნახვასო? ეს ეშმაკის მოგონილი აკვანი რომ ჩამოათრიეს, სირცხვილით თავი სად გამოვყოო, ახლა რა დროს ასეთი სისულელეებია მაგაში ჩავანვენ ახლა ჩემს ნანატრ შვილსო, მომაცილე, თორემ ფანჯრიდან გადავადგებ იცოდეთ. მამაშენი კი ეუბნებოდა რაღაცას, მაგრამ მე მეტი არაფერი გამიგონია, გული ხელით მეჭირა და გათენებას ასე დაველოდე. მოვკიდე დილას ხელი ჩემს დედაკაცს და აკვანს და უსიტყვოდ წამოვედი, ისიც კი ვერ მოვახერხე, შენთვის მეკოცნა, წვერები გაგეპარსა მაინცო, დედაშენმა.

ვერ დავიმახსოვრე შენი სახე, ბაბუ რომ სიზმარში მაინც დამსიზმრებოდი, მე მანდ რა გამაჩერებდა, ვზივარ ახლა ამ ვაგონში და ვუსმენ ბებიაშენის ქვითინს, ვილაცამ მკითხა შვილები არ გყავთო, დედაკაცმა იმთავითვე უპასუხა – არაო და გული ჩამწყდა, თითქოს მეხი

დამეცა მკერდზე და ჩაიტანა ჩემი გულმკერდი ქვესკნელში. ამ აკვანს კი ვაჩუქებ სოფელში ვინმეს, თუ სადმე ერთი ბავშვი დაიბადება, მაგრამ მე ხომ ის შენი სიყვარულით გავაკეთე. მინდოდა შენ დაგეძინა და ჩემი ლოცვა-მადლი დაგფენოდა სასთუმალთან, ბაბუ. არასდროს არ დაგავინწყდეს, რომ ადამიანები მგლები არიან და ცხვრად ნუ მოაჩვენებ თავს, თორემ შეგჭამენ, ბაბუ დაუნდობლად შეგჭამენ. მიყვარხარ, ბაბუ, ნეტა ისეთი ქალი დადგებოდე ჩემს საფლავთან მოსული ამას ჩამომძახებდენ: რა შვილიშვილი გაგეზარდა, ამირანო, მაგრამ მე ორი პარასკევი მიკლია და ალბათ ორ პარასკევეში ეს არ მოესწრება. უფალს ებარებოდე. ჩემო მესისხლევ. გენაცვალოს შენი ბაბულია”.

1982წ. 25 აპრილი

ეს წერილი რომ წავიკითხე, დედაჩემი მძიმედ იყო ავად, არც კი ვიცი რატომ გადმომცა 20 წლის მერე, შესაძლოა, სინანულის ბაგო, მაგრამ მე ვიცი, რომ ასეთი საქციელი ადამიანს ოდესმე ახსენებს თავს და თვითგვემავში ვარდებოდა. სწორედ ასე იყო დედაჩემიც უკურნებელ სენს ებრძოდა, მაგრამ ეს არაფერი იყო მისთვის, ცდილობდა ამძვინდურ ცოცხებას მოენახი და სულ ლოცვაში ატარებდა დღეებს და როცა დედა აღარ იყო, მისგან დატოვებული ასეთი წერილი მივიღე:

„ადამიანებს მხოლოდ ცხოვრება გვასწავლის ადამიანობას — შეხედე შენს თავს სარკეში და რაც ჩემი მსგავსი დინანსო, დაასაბარე, ნაშაღე და დავინახე, შვილო, შენს თვალებში აუცილებლად ნახავ ბაბუას სახეს მის ლამაზ სულს და ეცადე, ამ სულით იცხოვრო, გაგიჭირდება სიკეთით ცხოვრება, მაგრამ სჯობს შენ დაგიშავონ რამე, ვიდრე სხვას ატკინო. არ მისცე თავს უფლება, ჩემი ბენი დაგეპატრონოს. ებრძოლე ჩემს ცუდს შენში, შვილო და ილოცე ჩემი სასტიკი სულისთვის ილოცე, გთხოვ”.

მას შემდეგ წლები გავიდა, როგორც იქნა ექიმის დიპლომი ავიღე და ოჯახიც შევქმენი. ისეთი ბედნიერი ვიყავი, როცა გავიგე რომ პატარას ველოდებოდი, მეუღლე სიხარულით ცას ენია, სახლის სხვენი გამოალო, გამიკვირდა იმ რას ექმას-მეთქი, სხვენიდან დიდი რახარუხით რაღაც ჩამოიტანა. სახტად დავრჩი. მითხრა ჩვენი შვილი აკვანში უნდა გაიზარდოს, როგორც ნამდვილი ქართველი. მეც ამ აკვანში გავიზარდე და ჩემი შვილიც ასე იქნებაო, გამეცინა რა დროს აკვანი საინდან მოიტანე, ან სად ნახა-მეთქი. სიტყვა ბანა ავუბადე ოცდაშვიდი წლის წინ მაგას და დედას, რომელიც ჩემზე ორსულად ყოფილა, მატარებელში ვილაც მოსუბტანა უმგზავრიათ და იმათ უჩუქებიათო, გავპრი, მერე დიდხანს, გაგიჟებთო ვკოცნიდი დამტვირთ, დაოცებულ აკვანს და დროდადრო ტირილნარავი სიცილით ახვდავდი მეუღლის გაოცებულ თვალებს.



აკვნის მივიწყებული კულტურა საქართველოში

დღეს არსებული პრობლემების ფონზე საზოგადოებას შესაძლოა უმნიშვნელოდ მოეჩვენოს აკვნის პოეზიაზე საუბარი და გასაკვირიც არ იქნება, რადგან დღეს იავნანასაც და აკვანსაც თავისი დანიშნულება დაკარგული აქვს. მიუხედავად ამისა, ალბათ ბევრს დარჩენია ტკბილ მოგონებად ყრმობის წლებში მოსმენილი საამო ლექს-სიმღერები.

ადრე წარმოუდგენელი იყო ვინმე „იავნანის“ გარეშე გაზრდილიყო. ვაჟა-ფშაველას თქმით: „როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე — საზრდოდ და ნანა — მოსასვენებლად... ყველა ეს ხდება ოჯახში დედის ხელმძღვანელობით და სწორედ ეს არის დასაბამი პატრიოტიზმისა“.

აკვანი და იავნანა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. პირველი ძველთაგან გავრცელებული იყო ევროპა-აზიის ზოგიერთ ხალხებში. აკვანი არსებობს ორგვარი — სარწვევი და საქანებელი. სარწვევს საგოგავები აქვს, საქანებელი კი თოკებზეა ჩამოკიდებული. აკვნის პრიმიტიული სახეობაა ე.წ. „ხოჭიჭი“ — საგებლიანი ფიცარი. ნამდვილ აკვანში ჩანვენამდე ჩვილს ხოჭიჭში აკრავდნენ, ზოგჯერ კი ზანდურის (პურეულის) ღეროებში ახვევდნენ და არტახებით ძნასავით კრავდნენ. ამგვარ საწოლს „ფირცხი“ ერქვა.

საქართველოში გავრცელებული ჩვეულებრივი სარწვევი აკვნის მონყობილობაში შედის ნაილი, საბანი, მუხლთბალიში, საფერხები, სამხრეულები,

საბეჭურები, არტახები და სხვა.

ღებში სათანადო ადგილზე ამოჭრილ ჰიგიენურ ნახვრეტზე უყრიდნენ შიბაქს ან აფენდნენ ბუერის, ანწლის, ლოლოს სუფთა ფოთლებს. უშვილობის ან ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში, ხატს პატარა აკვანს სწირავდნენ.

სწორედ ასეთ აკვნებთან იმღერებოდა და იგალობებოდა „იავნანა“, რომელსაც თავდაპირველად წარმართული დანიშნულება ჰქონდა. „იავნანის“ მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რადგან იგი ქართული ხალხური მუსიკისა და სულიერი კულტურის ისტორიაში განვითარების უძველეს ეტაპს წარმოადგენს.

„იავნანასთვის“ დამახასიათებელია მარტივი, მაგრამ შთამბეჭდავი მელოდია, რომელსაც ასრულებს ერთი, ან მონაცვლეობით ორი მთქმელი (ქალი) გაბმული (ბურღონული) ბანის ფონზე. სიმღერა ერთმუხლოვანია და მდორედ ვითარდება. ის უმთავრესად ქართლ-კახური მუსიკის ფოლკლორში გვხვდება. იმერულ და გურულ სასიმღერო შემოქმედებაში კი უფრო გავრცელებულია „საბოდიშო“ ანუ „ბატონებო“. ვ. მალრაძის მოსაზრებით, მესხურ სიმღერებს „იავნანას“ ტიპის ინტონაციები და ფრაგმენტები უდევს საფუძვლად. „იავნანას“ მელოდიას დამუშავებული სახით ვხვდებით. ავალიშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა შემოქმედებაში.

„იავნანას“ ციკლის ლექსებს დიდაქტიკურ-ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს ქართულ

მხატვრულ ლიტერატურაშიც. მის მოტივებზე შექმნეს ლექსები რ. ერისთავმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, გ. ტაბიძემ და სხვებმა.

ქართული სააკვნო პოეზია შინაარსობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მასში მოიპოვება როგორც პატრიოტული, ისე რელიგიური, საისტორიო, საყოფაცხოვრებო და სხვა საინტერესო თემატიკა. თავდაპირველად, იგი წარმართული საკულტო რიტუალის საგალობელი იყო და უკავშირდებოდა მზის და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას. შემდგომ კი დაკარგა პირვანდელი სახესო ხასიათი.

აკვნის სიმღერები ძირითადად „ნანას“ (ნანინა) და „იავნანას“ სახელითაა ცნობილი. ისინი წარმოშობის მიხედვით განსხვავდებიან. „ნანა“ საწყისშივე საკუთრივ აკვნის პოეზიას წარმოადგენდა, ხოლო „იავნანას“ პირველადი ფუნქცია ბატონებისგან განკურნება იყო. მოგვიანებით, ორივე ციკლის ლექსები, ერთმანეთს დაუახლოვდა და დღეს აღარ განირჩევა. ერთში დედის გრძნობები, სურვილ-მისწრაფებებია გამოსატყული, მეორეში — უშუალოდ ბავშვის ბუნება და თავისებურებები. განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევიან ის ლექს-სიმღერები, რომლებიც ტკბილხმოვანი

რომ მონღოლებისგანაა შემოტანილი, თუმცა, ნაკლებად მჯერა, რადგან ძალიან კარგად ზის ქართულ ხასიათში. სამწუხაროა, რომ დღეს აკვანში აღარ იზრდებიან, მას თავისებური სილამაზე ჰქონდა. ბავშვს ხერხემალი სწორად ჰქონდა დაფიქსირებული. გავრცელებულია აზრი, რომ აკვანი, თითქოს, აკოჭლებს, მაგრამ, ხევესურეთში არავინ მინახავს მისგან დაკოჭლებული.

— როგორია თვითონ ხევესურული აკვანი?

— სხვებისგან განსხვავდება. ჩვეულებრივია, თუმცა გვერდებზე არა აქვს რიკულები, თვითონ კი მოჩუქურთმებულია. დაბლა ფიცარი აქვს, სადაც ქერის ჩალას ყრიდნენ იქ აწვენდნენ ბავშვს, რომ, გვერდებიდან სიცივეს არ შეენუხებინა. შიბაქც არ ჰქონდა, თივა ეფინა, ისე, რომ ბავშვს არ ეხებოდა. ბავშვი შალებში იყო შეხვეული თავისუფლად მოძრაობდა. შალი თვითონ ისეთია, არ სველდება და ყველაფერს იწოვს. ბავშვს თოკებით კრავდნენ, აკვანზე ურძნის ხის ჯვრიან ნალოც მძივებს უკეთებდნენ. ურძანი წმინდა ხედ ითვლება, ხავერდით კანი აქვს და შავი ნაყოფი. არსებობს ისეთი აკვნები, რომლებშიც ბავშვს ხელ-ფეხი ცალცალკე ჰქონდა გაბოჭილი, მაგ: სამეგრელოში. თავი რომ არ გაბრტყელებოდა, რგოლი იყო შეკერილი. რაც შეეხება „იავნანას“, პაპაჩემი მღეროდა სხვანაირად, ბებიაჩემი სხვანაირად. „ეე ნანო ქალასაო, სამკალთ გაჩენილასაო“.

თუ ოჯახებს დანათესავება სურდათ, აკვანშივე ნიშნავდნენ შვილებს. დანიშნულები ცალცალკე იზრდებოდნენ, ისინი უკვე ნათესავებად ითვლებოდნენ და შეეძლოთ დაქორწინებულიყვნენ. თუმცა, ზოგჯერ საპირისპიროდაც ხდებოდა, შეიძლება სხვა შეჰყვარებოდათ. ბიჭს შეეძლო უარი ეთქვა: „მე შენ აღარ მინდისარ, თავს განებებ, ჩემგან თავისუფალი ხარ“ — ეს სიტყვები უნდა ეთქვა. გოგოს არ ჰქონდა ამის უფლება. მაგალითად, ჩემი მეუღლის და ჩემს მშობლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ჩვენ 2-3 წლის ასაკში დაგვნიშნეს. აკვანში ნიშნობაც ალბათ ამიტომ ჰქვია, რომ ეს ძალიან პატარა ასაკში ხდებოდა.

პროვნილი მუზაუმის კოლექციების მენაჯარი, ისტორიის მაცნეირებათა დოქტორი ნოდარ შოშიტაშვილი:

— საიდან შემოვიდა საქართველოში აკვანი და მისი რა ნაირსახეობები არსებობს?

— აკვანთან დაკავშირებით არსებობს ორი შეხედულება. პირველის მიხედვით, აკვანი მე-13 საუკუნეში შემოვიდა საქართველოში მომთაბარე ტომების შემოსევების შედეგად. მეორე ვერსიით,

დალობა წმიდათა წმიდაა და იგი გულბრილობით არ უნდა გაკაუფასუროთ

მელოდიის ფონზე, დედის განწყობას გადმოგვცემენ. „იავნანას“ აღმზრდელობითი ფუნქცია და საგმირო-საისტორიო შინაარსიც მიაინიჭეს. ქართულ სააკვნო პოეზიაში ბრძოლის ველი, თავგანწირვა და მამულის სიყვარულის თემები ხშირად შეინიშნება. ის წარმოადგენს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, სულიერ კულტურას, ამაღლებულ იდეალებს და ამ ყველაფრის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ ასეთმა „იავნანამ“ გამოზარდა უამრავი ქართველი გმირი და საზოგადო მოღვაწე.

საკატარაქოს ხალხური რენვის გაგვა ელისო არაბული:

— ხევესურეთში ყველა იზრდებოდა აკვანში, ჩვენ ხუთივე და-ძმა აკვანში გავიზარდეთ. მეც, ჩემი სამი შვილი, სწორედ ასე გავზარდე და დღეს, მათაც ძალიან უყვართ აკვანი. ამბობენ



ადგილობრივი კულტურის ელემენტია. საკმაოდ მობილური ნივთია, ადვილად გადასატანი. აკვნის რამდენიმე სახეობა არსებობს: კლასიკური საგოგავებიანი (სარნევი), ძველი აკვანი-ხოჭიჭი, რომელიც ფიცარია და არ გორავს. საქართველოს გარდა აკვანი ბევრგანაა გავრცელებული, მათ შორის შუა აზიაშიც.

— ვინ აკეთებდა აკვანს?

— როგორც ასეთი ხელობა „მეაკვნე“ არ არსებობდა, მაგრამ დურგალი, ხარატი სხვა საგნებთან ერთად აკვანსაც აკეთებდა, ვინც რიკულებზე მუშაობდა ის აკვნის გაკეთებასაც შეძლებდა და პირიქით.


— საკრალური მნიშვნელობა თუ ჰქონდა აკვანს?

— რამდენადაც ბავშვს უკავშირდებოდა, მისი დანვა არ შეიძლებოდა. ბოლო დრომდე საქართველოს ტერიტორიაზე ხის ნივთები არ შემორჩა, რადგანაც დაზიანების შემდეგ წვავენ. აკვნები კი შემონახულია, დამტვრეულებიც კი. საერთოდ მიიჩნეოდა რომ აკვანი, რომელშიც ბევრი ბავშვი იყო გაზრდილი, ბედნიერების მომტანი იქნებოდა.

— რას იტყვით აკვნის ეროვნულ მნიშვნელობაზე?

— ბიჭი ტრადიციულად მეომრად იზრდებოდა და მას ჰქონდა ხის ფარ-ხმალი, გოგონას ჰქონდა აკვნის მოდელი, ანუ პატარა აკვანი, სადაც არტახებით ჩაკვრას სწავლობდა. ეს ისწავლებოდა სხვა ხელსაქმესთან ერთად და ამდენად ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამასთან გოგონას პატარაობიდანვე უვითარდებოდა დედობის სათუთი გრძნობა და შვილიერების სურვილი.

კახის ეკლესიის მოძღვარი
მღვდელი ბადრი (არჩუაძე):



„აკვანი არის ადამიანის მორჩილი ცხოვრების დასაწყისი. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აკვანს ეკლესიის ფორმა აქვს. ძველად მას თავში და ბოლოში ჯვრები ჰქონდა გამოკვეთილი, ბოროტისაგან დასაცავად. ახლა მიძივებს კიდებენ, მაშინ კი ნალოცი სკვნილი ეკიდა, რომელსაც ჩვილი ეთამაშებოდა. აკვანში ჩვილი მორჩილებას და მოთმინებას სწავლობს. როდესაც დედა არტახებს უჭერს, ბავშვი მორჩილებაში მოჰყავს. ამავე დროს ჩვილს უნდა ესაუბრებოდეს. კაცი იფიქრებს საუბრი რა საჭიროაო, მაგრამ ჩვილს ყველაფერი ესმის, გრძნობს და განიცდის... უბრალოდ ვერ გამოხატავს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არის კადრები, როდესაც დედის მუცელში ბავშვის მონყევტა სურთ, იგი შეშინებული გაურბის უცხო სხეულს — დანას. ჩვილს ჩასახვიდანვე ესმის მშობლების. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „იავნანას“. როდესაც დედა აკვანს არწევს და იავნანას უმღერის, ბავშვი იღებს დადებით მუხტს, განწყობას, სიყვარულს. ტექსტსაც თუ დავუკვირდებით, იგი ბავშვს ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულსაც ასწავლის და მუსიკალურადაც ავითარებს. აკვანი დედებს დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას ავალებს, რათა აცილებულ იქნას გვერდითი მოვლენები.

შემინდეთ, არავის განაწყენება არ მინდა, მაგრამ უყურადღებობა და პამპერსი აზარმაცებს დედას, ჩვილის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის... ჰერეთში მეტ-ნაკლებად დღემდე შემონახულია აკვანში ბავშვის აღზრდის ტრადიცია. უფროსის რჩევას ითვალისწინებენ, რადგან თვითონაც მორჩილებაში, ე.ი. აკვანში არიან გაზრდილი.

დღეს ვითარება ამ მხრივ შეიცვალა. თანამედროვე ქალი დღეს დინამიურად ზრუნავს თავის თავზეც, ოჯახზეც და კარიერაზეც. მისთვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს აკვანითა და „იავნანით“ შვილების გაზრდა. თუმცა, რაც უნდა წინ წაიწიოს ცხოვრებამ, როგორც უნდა განვითარდეს ტექნიკა და გათანამედროვედეს აღზრდის წესები, დედის მოვალეობები უცვლელი რჩება, იგი წმიდათა წმიდაა და გულგრილობით არ უნდა გავაუფასუროთ.

დღეს ვითარება ამ მხრივ შეიცვალა. თანამედროვე ქალი დღეს დინამიურად ზრუნავს თავის თავზეც, ოჯახზეც და კარიერაზეც. მისთვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს აკვანითა და „იავნანით“ შვილების გაზრდა. თუმცა, რაც უნდა წინ წაიწიოს ცხოვრებამ, როგორც უნდა განვითარდეს ტექნიკა და გათანამედროვედეს აღზრდის წესები, დედის მოვალეობები უცვლელი რჩება, იგი წმიდათა წმიდაა და გულგრილობით არ უნდა გავაუფასუროთ.

ნინო ჭინჭარაული

ნინო ხეხუიაშვილის გამომცემლობა



მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810



სკოლა-ლიცეუმი მპს „NK“-ს მთლიანი ზარი 2016 წლის 19 მაისი



**დირექტორი ნოზარ ყინია
დაპრობაციული თინათინ როგაძიძე**



ვიორა ბარიაშვილი



ბოლო წარი
 უკვე გაფრინდა ბავშვობის წლები
 და სიჭბუკის დავიჯვით ხანა...
 დამაზ გოგონებს ერთი სული აქვთ
 ტანზე მთიანეთს ბახკეტის კაბა.
 ბოლო წარი და ეს გამოსვლება!!!
 მერე კი უკვლად თქვენი გზით წახვალთ,
 სკოლა დარჩება, როგორც თქვითი
 და კვლავ დარჩევს აქ ცოდნის აკადემია.
 უმშვიდობებით კედლებს და მერსებს.
 კლასელებად კი დარჩებით კვლავაც.
 გზას აუკვებით ცოდნის ტაძრისკენ,
 წარმატებები თითოს და მრავალს!
 ბატონ დირექტორს დიდი მადლობა!
 მთელ თქვენს კოლექტივს, სასწავლო ხაწილს.
 თქვენს დამრიგებელს თბილს და მეგობრულს
 სიუპარულისგან ცრემლები აწვიმს...
 უკვლად აქ დამსწრეს, მშობელს, მოსწავლეს
 ხვეს ზედავოგებს დიდი მადლობა!
 ...და მერამდენედ თქვენს გამოსვლად
 ქვეყნის იმედის ახალგაზრდობა...
 დღეს ურინებებიან სკოლის ბუდიდან,
 ...და მომავალიც მოდის თაობა...
 მოდით უსურვოთ მათ სტუდენტობა!
 და უკვლად ერთად დმერთის წყალობა!

მზია მახვირაძე